სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 18 იანვარი 1997 №5 (370) ფასი 40 თეთრი

ვინ იქნება ნაკრების ახალი მწვრთნელი?

ნოდიაც უარზეა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ხუმრობით თუ სერიოზულად ჩამოთვლილი ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებიდან დავით ყიფიანმა თავისი თავი უკვე გამორიცხა. გუშინ საღამოს სანქტ-პეტერბურგში გივი ნოდიას დავუკავშირდით.

— ალბათ შეიტყობდით, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად ხართ დასახელებული...

— ეს ამბავი რამდენიმე დღის წინ გავიგე, მაგრამ ჩემთვის ოფიციალურად არავის მოუმართავს.

— რომ მოგმართონ?

— ორი წელია, საქართველოს მოწყვეტილი ვარ, ნაკრების არცერთი თამაში მინახავს უშუალოდ და, რა თქმა უნდა, უარს ვიტყვი. ისე კი, ცხადია, ნაკრების დიდი გულშემატკივარი ვარ და ვიქნები. მოკლედ, ასე დაწერეთ, გივი ნოდიამ შორს დაიჭირა-თქო...

რას გვერჩის? უკვირს მალხაზ ლაცაბიძეს

რომელიც ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად დაასახელა სხვებთან ერთად.

— მე ჯერ პატარა კაცი ვარ და ფეხბურთში არაფერი გამიკეთებია. ისეთი, ჩივაძის მემკვიდრედ რომ დამასახელონ. საქართველოში საკმაოდ არიან გამოცდილი მწვრთნელები, რომლებთანაც დღეს ახლოსაც ვერ დავდგები. ამიტომაც ვერ ვხვდები, რატომ გვასახელებს დავით კვინიკაძე მე და ნოდარ კიკნაძეს, ახალბედა მწვრთნელებს ყიფიანის, ძოძუაშვილის და ნოდიას გვერდით. რას გვერჩის გენერალური მდივანი? — გაიკვირვა მალხაზ ლაცაბიძემ.

გოგრიჭიანი ჯანაშიასთან, „ლოკომოტივში“

სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ გოჩა გოგრიჭიანს სოჭის „ჟემჩუჟინას“ დატოვება დაუპირებია, რაკი ბევრად უკეთესი წინადადება მიუღია სიომინისგან, მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელისგან. გავიგეთ, რომ რკინიგზელთა გუნდში ქართველი ლეგიონერის გადასვლა, ფაქტიურად, გადაწყვეტილია.

ჯერჯეროვით შეიდგოდ

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს და მის პირველ მოადგილესა და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს რომ ესტუმრნენ და 2 საათი ესაუბრნენ, უკვე გაუწყეთ. ამ ერთობ მოულოდნელი და მნიშვნელოვანი შეხვედრის, მასზე განხილულ საკითხთა კომენტარებისთვის ფედერაციას მივაშურეთ. ჯერ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ვეახლეთ, მაგრამ, რა თქმა უნდავე, ბატონმა ნოდარმა ამჯერადაც, საქმე მომძალებია, მოუცლელი ვარ, მე ვერ მიგიღებთ, გენერალურ მდივანს მიაკითხეთო, შემოგვითვალა. მესამე სართულზე ასულებს თავის სამუშაო ოთახში არც გენერალური მდივანი დაგვიხვედა. საქმე ის ყოფილა, რომ მას 15 იანვარს საკუთარ სახლთან უმნიშვნელო ავტოსაგზაო შემთხვევისას ფეხი დაუშავებია. სხვებმა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ვერაფერი გვითხრეს, ასე რომ, ესოდენ მნიშვნელოვანი შეხვედრა ჯერჯერობით უკომენტაროდ დაგვირჩა.

უეფა ფედერაციას შეგვირემონტებს

ამ დღეებში თბილისს ნასტუმრები უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კოორდინატორ ერიხ ეპლეს სამუშაო ვიზიტის ძირითადი მიზანი ჩვენი ფეხბურთისთვის ფინანსური დახმარება გახლდათ. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად ეროვნული სტადიონის დათვალიერებისას ეპლემ ფედერაციის პრეზიდენტს შეახსენა, რომ 1998 წლიდან უეფა აკრძალავს თამაშების ჩატარებას ისეთ სტადიონებზე, სადაც არ იქნება დამონტაჟებული ინდივიდუალური სკამები. ეპლეს სტადიონის ინფრასტრუქტურის შეცვლაც ურჩევია. ამის მერე ფედერაციის თავკაცობასთან ერთად სტუმარი საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ნიკო ლეკიშვილს შეხვდა და სთხოვა, ფეხბურთის ფედერაციას გადასახადები შეუმსუბუქეთ, ისე, როგორც ეს სხვა ევროპულ ქვეყანაშიაო.

თბილისში არაერთხელ ნამყოფი ეპლეს ყურადღება ჩვენი ფედერაციის შენობის სავალალო მდგომარეობამაც მიიპყრო. ეპლემ მას საშინელი უწოდა და მასპინძლები დაიმედა, უეფაში განვიხილავთ თქვენი ბინის შესაკეთებლად საჭირო თანხების გამოყოფის საკითხსო. თუ ეპლეს ვერწმუნებით, მაშინ უახლოეს მომავალში ფედერაციის შენობა მაინც გვექნება ნორმალური. ბოლოს სტუმარმა ერთი სასიხარულო ცნობაც დაგვიტოვა, კერძოდ ის, რომ ჩემპიონთა ლიგის ტელერეპორტაჟებს საქართველო უფასოდ მიიღებს, ოღონდ ჩვენს ტელევიზიას, ცხადია, გარკვეული ვალდებულებები დაეკისრება. წასვლის წინ ეპლემ დაიბარა, რომ თბილისში სექტემბრის დასაწყისში გაიმართება ერთი სამუშაო შეხვედრაც, რომელიც თქვენს ფეხბურთს სასიკეთოდ წაადგებაო. სტუმარი თბილისიდან სომხეთს გაემგზავრა.

ყოველივე ზემოთქმული ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურმა გვაცნობა.

„ტორპედოდან“ „ტორპედოში“ სოჭის გავლით

სოჭის „ჟემჩუჟინას“ ორი ქართველი დათო ჯანაშია და ზურაბ იონანიძე მათსავით ყოფილ ქუთაისის ტორპედოელ მალხაზ ვოსკანოვთან ერთად ისრაელში გაყვნენ მოსკოვის „ტორპედოს“. მოსკოვის გუნდში მათი დარჩენა-არდარჩენის საკითხი სწორედ ამ ტურნეს შემდეგ გადაწყდება. „ტორპედოს“ ვიცეპრეზიდენტის ბელოუსოვის თქმით, ქართველებს კარგი შთაბეჭდილება დუტოვებიათ.

ამასთან ისიც გავიგეთ, რომ ჯანაშია და იონანიძე მოსკოვის „ტორპედოში“ რომც არ დაიტოვონ, უკან, „ჟემჩუჟინაში“ დაბრუნებას მაინც აღარ აპირებენ.

არ მოგენატრათ ცოცხალი ფეხბურთი?

დღეს დიღომში

დღეს, 14 საათზე დიღმის საწვრთნელ მაგალზე გაიმართება საქართველოს თასის გამოცდილმული მეტო�dინატორი შესვედრა „დინამოსა“ და „დინამო 2“-ს შორის.

გიო: დავითარსე!

ცოტა მაინც მოეცადა კიგანს...



ჩემპიონატის ბოლო მატჩში გიო ქინქლაძემ რომ ტრავმა მიიღო, ეს უკვე იცით. მას მერე მისი ამბის გაგებას რამდენჯერმე შევეცადეთ, მაგრამ შინ ვერა და ვერ მოვიხელთეთ, მობილური ტელეფონი კი ამას წინათ ლონდონში ყოფნისას ტაქსში დარჩენია. სანამ გიოს ვეძებდით, „როიტერმა“ ცნობა გაავრცელა, „სიტის“ ქართველ ლეგიონერს ორი დღეა, არ უვარჯიშიაო. საეჭვო იყო გიოს თამაში თასზე „ბრენტფორდთან“, თუმცა ეს მატჩი საერთოდ გადაიდო. გუშინ, როგორც იქნა, მანჩესტერში იმ დროს დავრეკეთ, გიო შინ რომ იყო.

— ნატკენი კუნთი ცოტა კიდევ მაწუხებს, მაგრამ სერიოზული არაფერია. გუშინწინ ბურთითაც ვივარჯიშე და შაბათს ვითამაშებ კიდეც.

— „ბრენტფორდთან“ თამაში რატომ გადაიდო?

— მოედანი მოყინულიაო, შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრეა თქვეს. ამის გამო ჩვენმა გუნდმა პროტესტიც კი შეიტანა ფეხბურთის ასოციაციაში. მასპინძლებმა თავი იმართლეს — ასე უცებ თუ შეიცვლებოდა ამინდი, არ გვევონაო, რაზეც ჩვენებმა უპასუხეს — ამინდის ბიურო ტყუილად როდი არსებობს, იმათთვის გეკითხათო. ასეა თუ ისე, იმ მატჩს ათ დღეში ვითამაშებთ. უბრალოდ, ჩვენი გულშემატკივრები მეცოდებიან — იმათ ხომ არავინ აუნაზღაურებს ხარჯებს.

— გულშემატკივრები ამას დაჩვეულნი იქნებიან, ნუ დარდობ. შენი „ნიუკასლში“ გადასვლის ამბავი კი ძალიან გვაინტერესებს.

— აბა, რა გითხრათ, დავითარსე და ეგაა. თითქმის გადაწყვეტილი იყო ჩემი იქ გადასვლა. კიგანი 8 მილიონს და ერთ ნახევარმცველს აძლევდა „სიტის“, ფრენსის ლიც ძლიევს დავიყოლიე და ამ დროს... ტელევიზიით რომ გავიგე, კიგანი წავიდაო, ელდა შეცა. სწორედ კიგანის დაჟინებით აპირებდა „ნიუკასლი“ ჩემს შეძენას და რაღა მაინცდამაინც ახლა გადაწყვიტა ამ დალოცვილმა წასვლა. არ ვიცი, დალგლილში რას იზამს, მე კი უკვე ლამისაა ბედს შევეგუო.

— ახალი მწვრთნელი ფრენკ კლარკი რაიმე სიახლით თუ გამოირჩევა?

— ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშეთ მისი თაოსნობით და ძნელია რაიმეს თქმა. სწორედ კლარკმა მთხოვა ფეხმტკივანს, იქნებ გააგრძელო თამაშო და მეც ხათრი ვეღარ გავუტეხე. ენახოთ, შაბათს მისი მეორე თამაშია.

გიგა კობახიძე

გროზნიმ კილასონიებს „დნეპრში“ დაუძახა

სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის“ ქართველმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ დაგვიდასტურა ცნობა იმის თაობაზე, რომ ძმები კილასონიები, რომლებიც ბოლო წელიწადნახევარი ამ ნევისპირულ გუნდში თამაშობდნენ, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ გაჰყვნენ ანთალიაში შეკრებაზე. მართალია, ძმებს ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებიათ, მაგრამ „დნეპრის“ მწვრთნელ გროზნის იმიტომ წაუყვანია, რომ იცნობს კილასონიებს და მათი იმედიც ჰქონია. ნოდიასავე თქმით, გროზნის მუდამ კეთილმოსურნე დამოკიდებულება ჰქონდა ქართველებთან.

დავძენთ, რომ „დნეპრის“ ახალი მწვრთნელი წლების მანძილზე მოსკოვის „სპარტაკის“ სელექციონერად მუშაობდა. ამჟამად „დნეპრი“ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ მესამე ადგილზეა.

ოდიში — დინამო 1 მარტს

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის პირველი წრე ფაქტობრივად კი ჩამთავრდა, მაგრამ შარშანდელი 13 ოქტომბრის ანუ მე-11 ტურის ერთი შეხვედრა „ოდიში“ — „დინამო“ ჯერაც გასამართია. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი იმ დროისთვის სამეგრელოში შექმნილ რთულ პერიოდს დაემთხვა, რომელიც აფხაზეთის პრობლემას უკავშირდებოდა. ფეხბურთის ფედერაციამ აქამდე ვერ გამონახა ამ შეხვედრის ჩასატარებელი დრო, არადა, მისი ჩემპიონატის ბოლოსთვის გადატანაც არ შეიძლებოდა, ამიტომ „ოდიში“ „დინამოს“ ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე, 1 მარტს უმასპინძლებს ზუგდიდში.

ხორგუაშვილი და ჯელაძე სარატოვში

თბილისის „დინამო“ ვარჯიში კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ რამდენიმე დღეა, აღარ ჩანან ზურაბ ხორგუაშვილი და გიზო ჯელაძე. „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა გვითხრა: „ბიჭები ყოველგვარი სატრანსფერო თანხის მოთხოვნის გარეშე გავუშვით. „დინამოში“ მათ მძაფრი კონკურენციის გამო ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება არ ჰქონდათ. ორივე სარატოვის „სოკოლში“ გადავიდა. ამ გუნდში ახალი მწვრთნელი მივიდა და „სოკოლმაც“ მიზნად უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაისახა. თუ ბიჭები ძირითად შემადგენლობაში მოხვდებიან, პატარა შემოსავალიც ექნებათ, რაც მთავარია, თამაშებს ჩაატარებენ და მხოლოდ ვარჯიშებში არ მოკლავენ დროს, როგორც ეს „დინამოში“ იყო“.

წივწივაძეს გერმანიაში უნდა

ხაშურის „ივერიის“ ჰამლეტ წივწივაძეს „დინამო“, „კოლხეთი“, ტორპედო“, „მერანი“ და „შევარდენი“ იწვევდნენ, ფეხბურთელს კი საქართველოში დარჩენა არ სურს. მიზეზი თავად მოგვახსენა: „რა ხანია, საქართველოში ვთამაშობ და ვგრძნობ, რომ აქ კლასის ამაღლებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. პირობებზე გაუთავებელი წუწუნი და შეპირებული თანხის თვეობით ლოდინიც მომბეზრდა. ისევ გერმანიის რეგიონალურ ლიგაში თამაში მირჩევნია საქართველოში დარჩენას. ახლა ჩემი მენეჯერი საქმეს აგვარებს და, ალბათ, უახლოეს მომავალში გერმანიის რეგიონალური ლიგის რომელიმე გუნდში გადავალ.“

„სამტრედია“ მაინც შეიკრიბა

„სამტრედიის“ ბოლოდროინდელ შეჭირვებაზე არაერთხელ დაიწერა. ახლახან კი საიმედო ცნობები გაჩნდა: გუნდი ჯიხაიშის ბაზაზე სამეორეწრეო სამზადისს შესდგომია. სამტრედიელებს წასული მოთამაშეების ნაცვლად მეზობელი რაიონებიდან მეორეჯგუფელი ფეხბურთელები შეუმატებიათ და ახლა საკონტროლო მატჩებისთვის სპარინგ-პარტნიორებს ეძებენ. ერთი უკვე უპოვნიათ. 23 იანვარს სამტრედიელები ქუთაისელ ტორპედოელებს შეხვდებიან.

„სამგურალი“ იმერთა იმედზეა

წყალტუბოს „სამგურალი“ ბენდელას ტურნირში მონაწილეობს. გუნდის მთავარ მწვრთნელს, გივი ბაბუნიძეს სპორტის სასახლეში შევხვდით და გუნდის საჩემპიონატო სამზადისზე ვესაუბრეთ.

— მოგეხსენებათ, პირველი წრე მე-13 ადგილზე დავასრულეთ და I ჯგუფიდან გავარდნის კანდიდატთა შორის ვართ. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ მეორე წრეში ამ საფრთხეს როგორმე თავი დავაღწიოთ. მოთამაშეთა ლიმიტი ხუთი ფეხბურთელის დამატების უფლებას გვაძლევს და ამას გამოვიყენებთ კიდეც. უმეტესად ადგილობრივ და იმერეთში გაზრდილ მოთამაშეებს დავიმატებთ, რადგან „სამგურალს“, ლიდერებისგან განსხვავებით, ძლიერ მოთამაშეთა მოსაწვევად თანხები არ ჰყოფნის. თუმცა, ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია — მოთამაშეებს კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პირობა შევუსრულეთ — ვუხდით მცირედს, მაგრამ კეთილსინდისიერად. ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს.

— მზადება როდის დაიწყეთ?

— 6 იანვარს წყალტუბოში შევიკრიბეთ, შემდეგ კი ქუთაისში, რკინიგზელთა მძლეოსნობის მანეჟში შევუდექით ვარჯიშს. ერთი კვირის განმავლობაში ერთჯერად, საათნახევრიან ვარჯიშებს ვატარებდით. ახლახან კი ბენდელას თასის ორგანიზატორებისგან მივიღეთ მიწვევა და ტურნირში მონაწილეობა გადავწყვიტეთ. მინი-ფეხბურთი მზადებაში დიდად წაგვადგება. მოწვეულ მოთამაშეებსაც გავსინჯავთ საქმეში.

— გუნდიდან ვინ წავიდა?

— ესაიშვილი, ბრეგვაძე და ჭყონია კარიერის გაგრძელებას რუსეთში აპირებენ. თუმცა, ჯერ არ გადაწყვეტილა, კონკრეტულად სად ითამაშებენ.

— ვინმე თუ დაიმატეთ?

— ტყიბულის „მეშახტიდან“ ახალგაზრდა, ნიჭიერი თავდამსხმელი იმედო ჯანელიძე ავიყვანეთ. II ჯგუფში, პირველ წრეში მან 19 გოლი გაიტანა. ჯანელიძეზე გარკვეულ იმედებს ვამყარებთ. ჯერჯერობით იგი ერთადერთი მოთამაშეა, ვინც დავიმატეთ. დანარჩენები კი ჯერ ისინჯებიან.

მერაბ მამულაშვილი

ფოთელები ბურგასში მიდიან

ფოთის „კოლხეთი“ მეორე წრისთვის სამზადისს 10 იანვარს რომ შეუდგა, უკვე გაუწყეთ. ისიც მოგახსენეთ, რომ გუნდი შეკრების გასავლელად ბულგარეთის ქალაქ ბურგასს ეშურებოდა. ფოთელთა კლუბის ხელმძღვანელობას ბულგარეთში ყველა საკითხი მოუგვარებია და 28 იანვარს ფოთელთა გამგზავრებას წინ არაფერი უდგას. როგორც „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ გვაცნობა, შეკრებაზე 24 ფეხბურთელს იახლებს. მოგვარდა ახალი მოთამაშეების დამატების საკითხიც: ამაშუკელი, გვასალია და აწ უკვე ყოფილი ბათუმელი დავით მახარაძე „კოლხეთის“ წევრები არიან. მათ ადრინდელ კლუბებთან შეთანხმება უკვე მიღწეულია. ფილია „კოლხეთი 2“-ის რამდენიმე მოთამაშის წაყვანასაც აპირებს ბულგარეთში. შეკრებაზე კიდევ ერთ ახალწვეულს — ჭიათურის „მაღაროელის“ მცველ გაბრიჭიძეს გასინჯავენ. ფილიას თქმით, გუნდს, ფაქტიურად, პრობლემა არა აქვს, მხოლოდ შალვა ხუჯაძის საკითხია გასარკვევი. „ხუჯაძეს ჩვენთან კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასვლია, ის ჩვენ გვჭირდება, მაგრამ თუ ფეხბურთელი გაძალიანდება და „კოლხეთში“ თამაშს არ ისურვებს, მის გადამბირებელ გუნდს გარკვეული თანხის გაღება მოუწევს“ — განაცხადა სოსო ფილიამ.

„მარგვეთს“ გასჭირვებია

ზესტაფონის „მარგვეთი“, წინა პირველობის ვიცე-ჩემპიონი, ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მალტის „შლემა უონდერერზთან“ შინ სამარცხვინოდ წააგო, საქმეები უკან წაუვიდა. ფეხბურთელებმა ამ ჩემპიონატის პირველი წრე ლამის უხელფასოდ ჩამოამთავრეს, მერეც ბევრი ითმინეს, კლუბის ხელმძღვანელობამ ხელფასების დარიგების ბოლო ვადად 15 იანვარი დასახელა და... არც იმ დღეს ელირსათ მარგველებს კუთვნილი ფული. ფეხბურთელებს, ბუნებრივია, მოთმინების ფიალა აევსოთ და თითქმის მთელი ძირითადი შემადგენლობა გასაქცევად გამზადებულა. ზოგი სად ემზადება ინდივიდუალურად, ზოგმაც უცხოეთს მიაშურა. კლუბის პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე იმედს არ კარგავს და ამბობს, ცოტა ხანში ყველაფერი რიგზე იქნებაო, მაგრამ ზესტაფონში სხვანაირი ხმები დადის: „მარგვეთი“ შეიძლება სულაც დაიშალოსო.

შეიკრიბება გორში „დილა“?

მეორე წრის დაწყებამდე თითქმის ყველა გუნდის შესახებ გაცნობეთ, შეიკრიბნენ და მზადება დაიწყესო. მხოლოდ გორის „დილაზე“ ვერ შევიტყვეთ ვერაფერი, რადგან პირველი წრის ჩამთავრების შემდეგ გორელები ჯერაც არ შეკრებილან, ვარჯიშზე რომ აღარაფერი ვთქვათ. კულულარულ საუბრებს თუ ვერწმუნებთ, „დილას“ მოთამაშეებს გაქცევაზე უჭირავთ თვალი. „დილაში“, მოგეხსენებათ, ბევრი ახალგაზრდა, იმედისმომცემი ფეხბურთელი ირიცხება და მათ გადასაბირებლად პირველი ჯგუფის გუნდების არაერთი მწვრთნელი მართლაც გულიანად ირჯება. თუ „დილას“ ხელმძღვანელებმა გუნდის შეკრებაზე დროულად არ იზრუნეს, არა გვგონია, მოთამაშეები შეინარჩუნონ. მეორე წრისთვის მზადება, ფაქტობრივად, ყველა გუნდმა დაიწყო, ფეხბურთელებიც ახალი კლუბების ანუ ხელირანი პირობების ძიებაში არიან და თუ ყურადღება არ მიექცათ, ბუნებრივია, იქ წავლენ, სადაც ემჯობინებათ. „დილასაც“ ამ თვისებური სათამაშო ხელწერის მქონე გუნდს, მართლაც უძნელესი პერიოდი დაუდგა და თუ დროზე არ ეშველა...

ყველა გურული „გურიაში“

ლანჩხუთის „გურიიდან“ პირველი წრის დასრულების შემდეგ თითქმის ყველა ჩაყვანილი ფეხბურთელი რომ წამოვიდა, უკვე გაცნობეთ. გუნდის ხელმძღვანელობას „ლეგიონერთა“ დაკავება არც უცდია, მათ, ფაქტობრივად, ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე დაურიგდათ გუნდიდან განთავისუფლების ფურცელი. ჯერჯერობით დანმდვილებით არ ვიცით, რა პრობლემებმა გამოიწვია „გურიიდან“ მოთამაშეთა მიგრაცია, მაგრამ ის კი შევიტყვეთ, რომ მეორე წრეში გურულები გუნდს მხოლოდ იქაური კადრებით დაკომპლექტებენ. მოკლედ, მეორე წრეში „გურია“ ნაღდი გურული გუნდი იქნება.

ბერიშვილი ელის

თითქოს გადაწყვეტილი იყო სამტრედიელ ლევან ბერიშვილის ლატვიაში წასვლა, მაგრამ იგი ჯერაც თბილისშია და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. მისი თქმით, ელის, რომ იანვრის ბოლოს ძოძუაშვილი დაურეკავს და შეატყობინებს, როდის ჩავიდეს ლატვიაში.

„ივერია“ მეკარეს იმატებს

19 წლის ლევან აბაშიძე, ვინაც წინა ჩემპიონატის მეორე წრეში ლანჩხუთის „გურიის“ კარს იცავდა, კარგა ხანია არ ჩანს. გაწყვეტილი მყესები ფეხბურთელს თამაშის საშუალებას არ აძლევს. ამჟამად აბაშიძე ინდივიდუალურად ვარჯიშობს, მალე კი ხაშურის „ივერიას“ შეუერთდება.

ივანე ჯუღელი: რუსეთი თუ იტალია

უკრაინაში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებზე კარგა ხანი არაფერი გვსმენოდა. ჩვენებურების ასავალ-დასავალს ყურმოკვრით თუ შევიტყობდით და ამასღა ვჯერდებოდით. ბოლო დროს ისიც გავიგეთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრს, დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელს გიორგი ჩიხრაძეს ესპანეთის რომელიღაც გუნდი ეპატიჟებაო, მაგრამ ამ ინფორმაციის შემოწმება ვერ მოვახერხეთ და ამის შესახებ არც არაფერი გვითქვამს, სამაგიეროდ... დიღომში, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე მისულს ერთი ნაცნობი მოთამაშე მომხვდა თვალში. თავიდან კი დავფიქრდი, მაგრამ რამდენიმე წუთში ზესტაფონის „მარგვეთში“, ფოთის „კოლხეთსა“ და სხვა კლუბებში ნათამაშევი ივანე ჯუღელი არავისში შემეშლებოდა. იგი დღემდე სიმფეროპოლის „ტავრიაში“ იყო, ამდენად, მისმა დიღომში ნახვამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა.

— არა, „დინამოში“ დარჩენას არ ვაპირებ. თბილისში დროებით ვარ ჩამოსული და ყიფიანს ვთხოვე, გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება მოეცა. არ მინდა, ფორმიდან ამოვვარდე. 29-ში სამარაში მივფრინავ და იქ მოუმზადებლად ჩასვლა უხერხულია.

— კი მაგრამ, სიმფეროპოლში დაბრუნებას აღარ აპირებ?

— „ტავრიასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა და მის გაგრძელებას აღარ ვაპირებ, მითუმეტეს, რომ ისრაელიდან და სამარიდან მივიღე საკმაოდ კარგი წინადადებები. უფრო რეალური „კრილია სოვეტოვია“, თუმცა არც ისრაელის ვარიანტია ურიგო. ვნახოთ, ხვალ ველოდები სატელეფონო ზარს და ყველაფერს ამის მიხედვით გადაეწყვეტ.

— ისრაელის რომელი კლუბი გეპატიჟება?

— ზუსტად ვერ ვეტყვი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იქაურ მენეჯერს ჩემი ბევრი თამაში უნახავს და იქაურებსაც ძალიან მოვწონებივარ. მოკლედ, არჩევანის წინაშე ვარ.

— ვთქვათ, ისრაელში წახვედი, არ გეშინია? ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, ისრაელში ფეხბურთელების „გადაგდება“ უყვართო...

— სწორედ ამის გამო ვიკავებ თავს. თუმცა, არც მთლად ისეა საქმე, თითქოს ყველას აცურებდნენ. ეგაა, ვინც არასწორად აფორმებს კონტრაქტს, ბუნებრივია, შეპირებულ თანხასაც არ იღებს. ერთმა ჩემმა თანაგუნდელმა, რომელიც უკვე იყო ისრაელში, ყველაფერი დაწერილებით ამიხსნა. თურმე, სჯობს, შენს პირად მენეჯერთან ითანამშრომლო, რომელსაც, თავის მხრივ, კლუბთან აქვს დადებული კონტრაქტი. ის იღებს ფეხბურთელის ხელფასსაც და პრემიასაც. რაღა თქმა უნდა, მენეჯერიც დაინტერესებულია ამ გარიგებით — იგი ფეხბურთელის კუთვნილი თანხიდან 10 პროცენტს იღებს, ან იმდენს, რამდენზეც მორიგდებიან.

— ესე იგი, ფეხბურთელს კარგი თამაშის მეტი აღარაფერი რჩება...

— ასე გამოდის. ყველაფერზე მენეჯერი ზრუნავს და ფეხბურთელის მომავლითაც იგია დაინტერესებული — კონტრაქტის დამთავრების შემდეგ თავად ეძებს ახალ კლუბს მოთამაშისთვის.

— და მაინც, რატომ გადაწყვიტე „ტავრიას“ დატოვება?

— რატომ და, უკეთესი გუნდები მიწვევენ. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის მწვრთნელი შეეჩენკო ჩემი თამაშით კმაყოფილი იყო, მატჩების შემდეგაც მე მაძლევდა ყველაზე მაღალ შეფასებას, მაინც „ტავრიას“ დატოვება ვამჯობინე. თანაც, გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი პავლოვი მივიდა, თუმცა, მასთან ურთიერთობა საერთოდ არ მქონია, მის მწვრთნელად დანიშვნამდე ორი თვე ბელგიაში ვიყავი ერთ-ერთ იქაურ კლუბში გასასინჯად.

— გიორგი ჩიხრაძის საქმეები როგორღაა „შახტიორში“?

— ჩიხრაძესთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მაქვს. ოჯახებითაც ვმეგობრობთ, ახალ წელს გიორგის ოჯახში შევხვდით. ახლა იგი ისრაელშია, მაგრამ მეეჭვება, „შახტიორმა“ ვინმეს დაუთმოს, გუნდს გიორგი ძალიან სჭირდება. ყველაზე პრინციპულ მატჩებში სწორედ მას ათამაშებენ, ნაკლებმნიშვნელოვანებში კი უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების წევრს აყენებენ და ჩიხრაძეს, ასე ვთქვათ, დასვენების საშუალებას აძლევენ. იგი ახლა ძალიან კარგ ფორმაშია.

— შენს გარდა, ვინ დატოვა კიდევ „ტავრია“?

— ზუსტად არ ვიცი, ვინ საით წავიდა. მგონი, ჩემთან ერთად ანტიუხინმა მიატოვა „ტავრია“ და კიევის „დინამოში“ გადაბარგდა. სხვათა შორის, იგი უკრაინის ეროვნული გუნდის კანდიდატია, მის გარეშე „ტავრიას“ მეტად გაუჭირდება.

— სხვა ჩვენებურები თუ იყვნენ სიმფეროპოლში?

— როგორ არა. სერგეი იესინი ფოთელია, საქართველოში 12 წლამდე ცხოვრობდა, შემდეგ მისი ოჯახი უკრაინაში გადასახლდა, თვითონ კი „ტავრიაში“ ჩაირიცხა. კარგი ფეხბურთელია, მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობს. კიდევ, კლუბის პრეზიდენტი ბათუმში დაბადებულ-გაზრდილი ქართველი ებრაელია, ცოტა არ იყოს, მისიანებისგან განსხვავებული მენტალიტეტი აქვს, რაღაც სხვანაირი ტიპია. სამაგიეროდ, ნაღდ ქართველს ჰგავს ალექსანდრე გაიდაში, კაცური კაცია, სწორედ მისგან შევიტყვე ყველაფერი, რაც ზემოთ ისრაელსა და იქაურ მენეჯერებზე გითხარი.

— მოკლედ, სამარაში გააგრძელებ თამაშს?

— ალბათ, ასე იქნება. „კრილია სოვეტოვში“ ადრეც მელოდებოდნენ, მაგრამ „ტავრიას“ ხელმძღვანელებმა დამაყოვნეს — მითხრეს, ჯერ კონტრაქტის ვადა არ გასულაო. საბერძნეთში უნდოდათ ჩემი გაყიდვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და მეც მათ გამო საერთოდ ვერ გავედი მოსამზადებლად „კრილია სოვეტოვს“. შემდეგ, როგორც იყო, „ტავრიას“ ყოფილმა მწვრთნელმა დაურეკა სამარელებს და ყველაფერზე შეთანხმდნენ. 29 იანვარს მელოდებიან და კვიპროსშიც შემომთავაზეს მათთან ერთად შეკრებაზე წასვლა. ვნახოთ, რა იქნება. როგორც ვითხარი, ალბათ, „კრილია სოვეტოვში“ გადავალ, თუმცა, არც ისრაელია გამორიცხული.

ქობა ინასარიძე

საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია 1-8 თებერვალს სპორტის სასახლეში ატარებს კომერციულ ტურნირს „ოქროს ხარის“ თასზე. ცნობებისთვის მოგვმართეთ სანაპიროს 8, ტანვარჯიშის კომპლექსი (ლია აუზის გვერდით).
ტელეფონი: 37-68-11

ფეხბურთის რუკასთან

იტალიაში „იუვენტუსის“ პრეზიდენტი ჯოვანნი ანიელი შეშფოთებულია კლუბის დაბალი შედეგიანობით. სერია A-ს მოწინავე ექვს კლუბს შორის „იუვენტუსს“ ყველაზე ნაკლები აქვს გატანილი — 21 ბურთი 16 თამაშში. ანიელის თქმით, ბოკშიჩის ორი თვით დაკარგვა სერიოზული დანაკლისია და საჭიროა ახალი თავდამსხმელის შეძენა, თუმცა შირერის ვარიანტი გამორიცხა. „სუპერთასზე 6:1 მოგების მიუხედავად, ჩემპიონატში თავდასხმა მოისუსტებს. თუ ლიპი რომელმე ფორვარდს შეიგულებს, მზად ვართ მის შესაძენად“ — დასძინა პრეზიდენტმა.

არგენტინელი ფერნანდო რედონდო, რომელსაც ნაკრების მაისური ორი წელია არ ჩაუცვამს, შესაძლოა, თებერვალში კოლუმბიასთან სტუმრად სათამაშოდ გამოიძახონ. პასარელა მას ნაკრებში გრძელი თმების გამო არ იწვევდა, თუმცა როცა გაუჭირდა, უკან დაიხია.

იტალიელი ფრანკო ბარეზი კეთრას მე-700 მატჩს ითამაშებს „მილანში“. მან უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს სეზონის ბოლოს კარიერას დასრულებდა. ტაბარესის შემცვლელმა საკომ განაცხადა, რომ მას არ სჭირდება ზარმაცი და გამოუსადეგარი მოთამაშეები, ეს ნათქვამი კი ბარეზის არ ეხება. მომავალი სეზონი მისთვის 21-ე იქნება. „ადრე წასვლა მქონდა გადაწყვეტილი, თუმცა მერე აზრი შევიცვალე. 20 წლის აღარა ვარ, მომავალზე რომ ვიფიქრო. ფეხბურთში ყველაფერი ენახე და ერთორ წელიწადში თამაშს დავემშვიდობები“ — განაცხადა ფრანკომ.

გერმანულ ჟურნალ „კიკერის“ ცნობით, მიუნხენის „ბაიერნს“ კარლსრუელი მიხაელ ტარნატის გადაყვანა სურს. სეზონის ბოლოს ციგე „მილანში“ გადადის და მიუნხენელები მის შემცვლელს ეძებენ. „ტარნატი შესანიშნავ ფორმაშია, ნაკრებშიც კარგად თამაშობს, ვფიქრობ, „ბაიერნს“ მიხაელის თამაში წაადგება“ — თქვა „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰოინესმა.

იტალიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ლუკა ბუჩიმ დატოვა „პარმა“ და შეუერთდა „პერუჯას“, რომელსაც ის ნევიო სკალა წვრთნის, „პარმა“ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად რომ აქცია. ბუჩიმ ნაკრებში სამჯერ ითამაშა. მისი შესყიდვა სურდათ „დერბი ქაუნთის“, „ლიდსს“ და „მიდლსბროს“, მაგრამ „პერუჯაში“ თამაში არჩია.

პორტუგალიის ნაკრები ფრანგებთან ამხანაგურად სათამაშოდ ემზადება. უკვე გაირკვა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც ფრანგებთან სათამაშოდ ამზადებენ: მეკარეები — ვიტორ ბაია, რუი კორეია; მცველები — პაულინიუ სანტუში, სერჟიუ კონსეისაუ, ოსვანუ კრუზი, ფერნანდუ კოუტუ, ჰელდერ კრისტოვაუ, დიმაშ ტეიშეირა, კარლუშ სკარეტარიუ, ჟორჟე კოშტა; ნახევარმცველები — ჟოზე ბაროსო, ლუიშ ფიგუ, პაულუ ბენტუ, რუი კოშტა; თავდამსხმელები — ჟოაო ვიეირა პინტუ, ჟორჟე კადეტე, დომინგუშ ოლივეირა, უგო პორფირიუ, ნუნუ, რიკარდუ სა პინტუ.

ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ საკონტრაქტო ვადის გასვლისთანავე მწვრთნელობას თავს დაანებებს. მისი ხელმძღვანელობით „იუნაიტედმა“ სამჯერ მოიგო პრემიერლიგა, სამჯერ თასი, ლიგის თასი და თასების თასი. „სამ წელიწადში 58 წლის გავხდები. კლუბთან კონტრაქტი სწორედ მაშინ მისრულდება და მეც მწვრთნელობას შევეშვები. ვფიქრობ, ცუდად არ მიმუშავია. მინდა, დარჩენილი ცხოვრება წყნარად გავატარო“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

ბელგიის 1996 წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს „ბრიუგეს“ კაპიტანი ფრენკი ვან დერ ელსტი. 35 წლის ფეხბურთელი „ბრიუგეს“ ჩემპიონობისა და თასის მოგებაში დაეხმარა. მან ბევრით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულს, „ანდერლეხტის“ შვედ ფეხბურთელს პატ ზეტერბერგს. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, მსჯავები და ფედერაციის წარმომადგენლები.

იტალიაში ფედერაციამ გულშემატკივართა უწესო საქციელის გამო სერია A და სერია B-ს კლუბები დააჯარიმა. მოედანზე გულშემატკივართა მიერ თოვლის გუნდების სროლისთვის „უდინეზე“ 3 600 დოლარით დააჯარიმეს, მსაჯისთვის საგნების სროლისთვის „ნაპოლიმ“ 5 400 დოლარი უნდა გადაიხადოს, ამნაირივე საქციელისთვის „მილანი“ 3 ათასით დაჯარიმდა.

ინგლისში ვინმე სტივ კალდიკოტმა 33 გირვანქა დადო ტოტალიზატორში იმაზე, რომ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მისი ვაჟი, რომელიც ახლა 3 თვისაა, გოლს გაიტანს. ბუქმეიქერებმა შანსები 50 000:1 შეაფასეს და თუ პატარა კალდიკოტმა მართლაც გაიტანა, მაშინ იგი 1 600 000 გირვანქას მიიღებს.

ბერძენი პეტრეს მარინაკისი ტოვებს „სევილიას“ და სამშობლოში მიემგზავრება. ეს ნახევარმცველი სეზონის დასაწყისში გადავიდა ესპანეთში, თუმც კლუბის მწვრთნელთან ურთიერთობა ვერ აეწყო და შინ დაბრუნება გადაწყვიტა. იგი კარიერას ერთ-ერთ ბერძნულ კლუბში გააგრძელებს.

ნორვეგიელმა ლეონარდსენმა, ვინაც პრემიერლიგის „უიმბლდონის“ ღირსებას იცავს, განაცხადა, რომ არ აპირებს იტალიაში წასვლას და კვლავ ინგლისში რჩება. იგი „უიმბლდონის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. 26 წლის ნახევარმცველი ამ კლუბში 1994 წელს გადავიდა „რუსენბორგიდან“. „იტალიაში ჩემი წასვლის თაობაზე დარხეული ხმები უსაფუძვლოა. კლუბში თავს კარგად ვგრძნობ და იმ გუნდის მიტოვება, რომელსაც პრემიერლიგის მოგების შანსი აქვს, უბრალოდ, სისულელეა“ — განაცხადა ლეონარდსენმა. „უიმბლდონი“ ლიდერ „ლივერპულს“ 5 ქულით ჩამორჩება, თუმცა სამი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

სამხრეთ აფრიკელი დევიდ ნიათი, ვინაც შარშან კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა, ესპანეთის „ტენერიფეში“ გადავიდა. 27 წლის ფეხბურთელს უეფას თასზე ასპარეზობის უფლებაც მიეცა. მალე ნიათი კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ნიგერიელი ნვანკვო კანუ მალე მომჯობინდა ოპერაციის შემდეგ, თუმცა ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, ითამაშებს თუ არა ფეხბურთს. „ვერ გეტყვით, ითამაშებს თუ არა კანუ, მისი ფეხბურთში დაბრუნების შანსები კიდევ დაბალია“ — განაცხადა „იტერის“ პრეს-ატაშემ სუზანა ვერმელინგერმა. კანუმ ზაფხულში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, შემოდგომით კი აშშ-ში გულის ოპერაცია გაიკეთა. „ინტერს“ მისი „აიაქსიდან“ გადაყვანა 2 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

ბელგიელმა ჟილ დე ბილდემ, ვინაც დეკემბერში კრის პორტეს სახეში ფეხი ჩააზილა, საჯაროდ მოიხადა ბოდიში. „ვიმედოვნებ, რომ მაპატიებთ. კრის, მე არ მინდოდა შენი დაშავება. ვგრძნობ, თუ რა ტკივილს განიცდი. უმორჩილესად გთხოვ, მაპატიო“ — შესთხოვა დე ბილდემ მისგან გამეტებულ კრის პორტეს, რომელსაც თვალი დაუზიანა, წარბი გაუხეთქა და ცხვირი გაუტეხა.

თურქეთში „ფენერბაჰჩეს“ თავმჯდომარემ, ქვეყნის ერთ-ერთმა უმდიდრესმა საქმოსანმა ალი სენმა მოითხოვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის სენეს ეზიკის გადადგომა. „ეზიკი თურქეთში ჩემს დაბრუნებამდე უნდა გადადგეს — ბრძანა სენმა პორტუგალიაში, სადაც მისი კლუბი ჩემპიონატის დარჩენილი თამაშებისთვის ემზადება — სპეციალურ კრებაზე მე წარვადგენ საბუთებს, რომლებიც ეზიკის წასვლას დაიჩქარებენ. იქვე დავაყენებ საკითხს ფედერაციის კომპეტენტურობის შესახებ“ — დაიქადნა ალი სენმა.

რუმინელი ფლორიდ რადუჩოუ „ვესტ ჰემიდან“ კვლავ „ესპანიოლში“ დაბრუნდა. 27 წლის ფორვარდმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი 400 ათას გირვანქას მიიღებს. „ესპანიოლში“ მან ადრე 38-ჯერ ითამაშა და 14 გოლი შეაგდო. ესპანურმა კლუბმა შეისყიდა პასკალ ოლმეტაც, რომელიც „ლიონიდან“ გაუშვეს. ფრანგი მეკარე შეცვლის აქამდე ძირითადში მოთამაშე ტონი ხიმენესს.

საფრანგეთში ივნისში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლების გარდა მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილია, იტალია და ინგლისი. ამ ნაკრებთა მწვრთნელები ხუთშაბათს პარიზში შეხვდებიან ერთმანეთს და მომავალი ტურნირის საორგანიზაციო საკითხებს განიხილავენ. სულ ექვსი თამაში ჩატარდება, ყოველი მატჩის მოგება მილიონი დოლარი ღირს. აღსანიშნავია, რომ იტალია და ინგლისი წელს სამჯერ შეხვდებიან ერთმანეთს: ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ერთხელ კი საფრანგეთში. „იტალიასთან სამჯერ თამაში არანაირ პრობლემას არ გვიქმნის. გვსურს, ამ პრესტიჟულ ტურნირში გავიმარჯვოთ და თან მსოფლიოს პირველობაზეც ვთამაშოთ“ — განაცხადა გლენ ჰოდლმა. იტალია — ინგლისის სამი მატჩისგან შემდგარი სერიის პირველი შეხვედრა 12 თებერვალს „უემბლიზე“ გაიმართება, შემდეგ 4 ივნისს შეერკინებიან ერთმანეთს, ბოლოს კი 11 ოქტომბერს იტალიაში ითამაშებენ.

ესპანეთში გაიმართა თასის გათამაშების მესამე წრის განმეორებითი მატჩები: „სარაგოსა“ — „რასინგი“ 0:1, „ატლეტიკო“ — „ვილიარეალი“ 2:2, „რაიო ვალეკანო“ — „ოსასუნა“ 3:1, „ლოგრონიესი“ — „სელტა“ 2:2, „კომპოსტელა“ — „ოვიედო“ 3:0, „დეპორტივო“ — „სევილია“ 2:0, „ვალიადოლიდი“ — „რეალი“ 1:2, „სპორტინგი“ — „ესპანიოლი“ 2:2.

იტალიელი ჯანლუკა ვიალი უკმაყოფილოა „ჩელსით“ და მოთამაშე მწვრთნელის რუუდ გულიტის კრიტიკასაც მიაყო ხელი. „რუუდი იშვიათად მიყურებს. ეს მე ძალიან არ მომწონს. აქ შვებულებით არ ჩამოვსულვარ, მინდა „ჩელსიში“ და საერთოდ ინგლისში კარგი მოთამაშის სახელი დავიგდო. სამაზე ჯდომა მაცოფებს. იმედია, ვითარება შეიცვლება“ — განაცხადა განაწყენებულმა ვიალიმ. გულიტის ასისტენტმა უილსონმა იტალიელის კრიტიკის საპასუხოდ ეს თქვა: „მართალია, ვიალის ბოლო შეხვედრებში არ უთამაშია, მაგრამ ეს ტრავმის ბრალი იყო. გამოჯანმრთელდება და ითამაშებს. ამაში ეჭვი არ მეპარება. იმედია, მისი და რუუდის ურთიერთობა ისევ ნორმალური იქნება.“

ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერმა მადრიდის „რეალმა“ ახალი ფეხბურთელი შეიძინა: ბრაზილიელი ნახევარმცველი სეზარ პრატესი 615 ათასი დოლარი გადაუხადა პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალს“. ლეგიონერმა „რეალთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი დადო. თავდაპირველად პრატესი „რეალის“ მეორე გუნდში ითამაშებს.

შოტლანდიის „აბერდინის“ წარმომადგენელთა თქმით, 12 გულშემატკივარს საშუდამოდ აეკრძალა სტადიონზე შესვლა, რადგან მათ წუთიერი დუმილის დროს ღრიალი ატეხეს და შეურაცხყვეს ჯორჯ იანგის ხსოვნა. ითქვა ისიც, რომ ეძებენ კიდევ რვა გარეწარს და მათაც აუკრძალავენ სტადიონზე შესვლას.

ინგლისის „ჩელსის“ წარმომადგენელმა კოლინ ჰათკინსონმა განაცხადა, რომ კლუბი არ აპირებს 17 მილიონი გირვანქის გადახდას: „მილანელებს მალდინის შესახებ ჩამოვუგდე სიტყვა, მათ კი მისი გაყიდვა იუარეს. ჩვენი საუბარიც ამით ამოიწურა. 17 მილიონ გირვანქას ერთ ფეხბურთელში ვერ მივცემთ. ამ თანხით მთელ „მილანს“ შევისყიდიდით.“

იტალიის სერია B-ში გაიმართა გამოტოვებული მატჩი „დი სანგრო“ — „ჯენოა“. მასპინძლებმა გაიმარჯვეს 1:0.

საფრანგეთის ლიგის თასის მესამე ეტაპის მატჩი „რენი“ — „ლიონი“ მასპინძელთა გამარჯვებით 4:3 დამთავრდა.

შოტლანდიის პირველობაზე შედგა გამოტოვებული მატჩი. „რეინჯერსმა“ შინ ვერ მოუგო „კილმარნოკს“ — 1:1.

სასამართლოს დარბაზიდან-2

ვინჩესტერის სასამართლოში გრძელდება ინგლისური ფეხბურთის ბოლო 30 წლის უდიდესი სკანდალის განხილვა. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება მალაიზიური სანიძლაო სინდიკატის მიერ პრემიერლიგის მატჩების ჩაწყობას.

ოთხ ბრალდებულს შორის ჟურადღების ცენტრში ბრიუს გრობელაარია. ერთი, რომ ზიმბაბველი მეკარე ისედაც სხვებზე პოპულარულია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საქმე სწორედ მისგან ავორდა. გრობელაარის თანამემამულემ და ყოფილმა ბიზნეს-პარტნიორმა კრის ვინსენტმა 1994 წელს „სანს“ აცნობა, ჩემი მეგობარი ქრთამად გოლებს უშვებსო და გაზეთმაც ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო. „სანმა“ ფარული კამერით გადაიღო ზიმბაბველის საქმიანობის ზოგიერთი ეპიზოდი და მალე წერილი გამოაქვეყნა. დღეს, სასამართლოზე, ბრალდების მთავარი მოწმე ვინსენტია, მოწმედვე გამოვა „სანის“ კორესპონდენტი, ხოლო ზემოხსენებულ ფირებს თავისი როლი დაეკისრებათ.

პროცესის მეორე დღეს ბრალმდებელი დევიდ კალვერტ სმიტი უპირატესად გრობელაარზე საუბრობდა. ძირითადად მან განიხილა 1993 წლის 21 ნოემბრის მატჩთან დაკავშირებული ამბები. იმ დღეს „ლივერპულმა“, რომლის კარსაც ბრალდებული იცავდა, 0:3 წააგო ნიუკასლში. წასაგებად ეს შეხვედრა თავად მეკარეს აურჩევია.

— მე ვიცოდი, რომ „ნიუკასლთან“ მატჩში ფულის შოვნა შეიძლებოდა. ვიცოდი, რომ იქ მოგების შანსი გვქონდა — მოიყვანა სმიტმა გრობელაარის მიერ ვინსენტისთვის ნათქვამი სიტყვები.

ამ შეხვედრაში გოლების გაშვებამ ზიმბაბველს 40 ათასი გირვანქა მოუტანა. ბრალდებამ სასამართლოს წარუდგინა ფაშანუს ჟურნალიდან მოპოვებული ფურცელი, სადაც 26 ნოემბერს, ანუ ნიუკასლში თამაშიდან ხუთი დღის შემდეგ, მას ჩანიშნული ჰქონდა 50 ათასი, რომელიც შემდეგ 40 ათასად ჰქონდა გადაკეთებული, ხოლო იქვე მიწერილი იყო: „უდრის 45 ათას გირვანქას. საკომისიო 10 პროცენტი“.

ბრალმდებელი აგრეთვე ჩაუკიდა საუბარს (ჩაწერილია ვიდეოზე), რომელიც საუთჰემპტონის სასტუმროში, 1994 წლის 25 ოქტომბერს გრობელაარს და ვინსენტს შორის გაიმართა.

— ყველაზე მეტი რამდენი გადაგიხადეს? — ეკითხება ვინსენტი.

— მაშინ, ორმოცი — პასუხობს გოლკიპერი.

სმიტმა სასამართლოს განუცხადა, რომ არსებობს სხვა საუბრის ვიდეოჩანაწერიც, სადაც გრობელაარს ორ ათასს აძლევენ. იგი თავიდან უარობს ფულის აღებას (თანხა მას ვინსენტისთვის უნდა გაეყო), მერე კი ამბობს:

— კეთილი. ფულს სხვაგან დავდებ. ის ორი ათასიც საიმედო ადგილას შევინახე. მე ეგ კაცი რაღაც არ მომწონს.

ეს კაცი, გრობელაარს რომ არ მოსწონს, ეჭვის თანახმად, ვინსენტია. არის ვერსია, რომ ფეხბურთელმა ვინსენტის გვერდის ავლით გააპა კავშირი სხვა, ინდონეზიურ სინდიკატთან და ძველ მეგობრებს სწორედ ამის გამო მოუვიდათ უთანხმოება.

ბრალდება ზიმბაბველი მეკარის ოთხი შეხვედრის შედეგზე ზეგავლენაში მხილებას ცდილობს. მათგან სამი იმ პერიოდისაა, „ლივერპულში“ რომ იყო, ერთი კი „საუთჰემპტონის“ მეკარეობის დროინდელი. ვიდეოზე აღბეჭდილია, თუ როგორ აღიარებს ბრიუსი, რომ გოლების ძალად გაშვება უჭირს: ჩემი თავის მთავარი მტერი ვარ. არ მიყვარს წაგება, ეს ინსტიქტია — ამბობს იგი.

ბრალმდებლის თქმით, გრობელაარი საკუთარ თავს 125 ათასის დაკარგვაში სდებდა ბრალს. საქმე ეხება „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრას, რომელიც 1994 წლის 4 იანვარს 3:3 დასრულდა. თავიდან „იუნაიტედი“ 3:1-ს იგებდა, მაგრამ „ლივერპულმა“ ორი გოლის გატანა მოახერხა. ამ თამაშში გრობელაარმა ორი ძნელად ასაღები დარტყმა მოიგერია.

— იცი, რამდენი დავკარგე? 125 ათასი, ნაღდი ფული. იმიტომ, რომ მეორე ტაიმში ორი ბრმა ბურთი მოვიგერიე — ეუბნება იგი ვინსენტს.

„საუთჰემპტონში“ გადასვლის შემდეგ სინდიკატმა მას „ქოვენთრისთან“ გოლების გაშვება მოთხოვა.

— მეორე წუთზეევ ბურთი საკუთარ კარში შევაგდე, შემდეგ კი ჩვენებმა მათ გადაუარეს, 3:1 — უთქვამს გრობელაარს.

სასამართლო გრძელდება...

ბიბა კოგანიძე

გოგი ანვლედიანის

ფრეტფული ინფორმაცია

პირველი ჯარიმის ქალაქი

უცხოურ ტოტალიზატორებში ათასგვარ ფსონს შეხვდებით:

ვთქვათ, ვინ გახდება „ნიუკასლის“ მწვრთნელი, ან რომელი ფეხბურთელი გაიტანს პირველ გოლს, ლუწთუ-კენტნომრიანი, ან პირველი ვინ გამოცვლის თავის ფეხბურთელს, არტურ ჟორჟე თუ ტერი ვენეიბლზეო; ან კიდევ — კოლინა პენალტს დადებს თუ არაო და ათასი სხვა.

ახლა მე ერთი მოვიფიქრე: საუქმეიქერო ბიზნესში უნდა ჩავერთო. ოღონდ, საკუთარი ტოტალიზატორი უნდა შევქმნა და ამ ტოტალიზატორში ჩემებური ნიძლავები დავაწესო.

პირველი ამოცანა შეეხება ევროპის უცნობილეს კლუბს — „მილანს“.

ამოცანის პირობა

ბოლო თვეებია, უკიდურესად აირია ვითარება „მილანში“: ლურჯპალტოიანი ტაბარესი შავპალტოიანმა საკომ შეცვალა. ტაბარესი სიმპატიური, წყნარი კაცი იყო — თავი პალტოთი დაგვამახსოვრა, საკომაც რამე-რუმეებით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ მისმა მოსვლამ საქმეს ვერ უშველა. საკომ კაპელოსკენ გაიშვირა თითი — რღვევა მის დროს დაიწყოო.

მისი აზრით, „მილანში“ მოთამაშე შვიდი-რვა ფეხბურთელი, ფეხბურთელი სულაც აღარ არის, არამედ ჯიბეგასაქელებული კაცია. ასეთი გუნდით კი ვერ გაფრინდები. არიგო ახალი „მილანის“ შექმნას აპირებს.

რას გვეკითხება ამოცანა

ჩვენს ტოტალიზატორში მონაწილე ვინმეებს ამოცანა ეკითხება — რა შემადგენლობით ითამაშებს „მილანი“ აპრილის თვეში? ამ საკითხზე მაფიქრალ ხალხს შეუძლია დასახელოს 15 ფეხბურთელი, რომლებსაც საკი ამოიჩემებს და საგაისოდ, მომავალ დიდ ტრანსფერებამდე ანდობს შავწითელ მაისურებს.

ბუქმეიქერის უწყინარი შენიშვნები

ესე იგი, მე შემიძლია გითხრათ, რომ რობერტო ბაჯოს ტიბეტში წასვლა მოუწევს სალოცავად. როგორც ვერტენნიკოვი ან ინალ ჯიოევი ვერ მოხვდებიან „მილანის“ თერთმეტ კაცში, ასევე-ისიც. ყოველ შემთხვევაში — ეს მისაღები ფიქრია. ფრანკო ბარეზი ალბათ აპირილამდე მიატანს და მერე სან-სიროს ერთ-ერთ ძელთან გაუჭრიან სამარეს. საკის მეკარე როსიც არ უნდა მოსწონდეს. ედგარ დავიდსი ეგებ „ფოჯაშიაც“ კი აღმოჩნდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ მიხაელ რაიციგერზე. ზვონიმირ ბობანის ბედი კარგა ხანია გადაწყვეტილია — მიხრა-მოხრაზე ეტყობა, რომ უარზე არ არის „ვალიადოლიდში“, ან „შარლერუაში“ წაითამაშოს. ეყოფა ბიჭს! დეიან სავიჩევიჩს ყველაფერი გამოსდის, მაგრამ საკისთან არ გამოსდის არაფერი — „ჩეთან ასეთ კაცს გაუჭირდება“-ს მოტივით. ეს „ყველზნად“ გაუბედურებული ხალხია.

ახლა ისე რა გაუბედურებული ვინმეებიც: რა დასამალია და პაოლო მალდინი ჰამლეტის შამის აჩრდილივითაა. უფრო სწორად ბოლო ხანია ისე თამაშობს, მამამისს რომ ჩაცვა ფორმა და მოედანზე გამოიყვანო.

მარკო სიმონესაც რაღაც ძალიან თეთრი ბუცები აცვია. არა, კარგი ბიჭია, მაგრამ კრისტოფ დუგარიც ხომ მეტად ორიგინალური ფეხბურთელია. და საერთოდ, შეიძლებოდა რაის გადმოვვანა დემეტრიო ალბერტინის ნაცვლად. არა, არა, ეს ჯერ ადრეა. ჯერ შვედები უნდა მოიხინჯონ.

სერია ბ-ს პატარა გუნდებში უამრავი საინტერესო ფეხბურთელია. ამათი გამოყენებაც შეიძლება. ორ კაცს — ჯორჯ ვეას და მარსელ დესაის, და ჰა, ჯანდაბას, იმავ ალბერტინის ახალი ვინმეები ამოუდგებიან გვერდში. ჰო, ჰო, დუგარი ან ლოკატელიც.

არ დაგავიწყდეთ კოსტაკურტაც!

სერიოზულად

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ხუმრობაშიც ხომ არის სიმართლე? ასე მგონია, საკი დიდ ამბებს დაატრიალებს „მილანში“ და ზემოთ მოტანილ უწვინარ შენიშვნათაგან რამდენიმე მაინც გამართლდება. სხვისი არ ვიცი და მე კი მჯერა, რომ ყველა მწვრთნელს თავისი ფეხბურთი აქვს. კაპელოს გუნდის დემონტაჟი უკვე კარგანხის დაწყებულია და მგონი არანაკლებ ძნელი საქმეა, ვიდრე თავად კაპელოსთვის გუნდის შენება იყო.

თქვენ კი, იფიქრეთ აპრილის „მილანზე“ — ეს საინტერესოა.

ინგლისი

თასის მესამე ეტაპი

ნიუკასლი 2:1 ჩარლტონი

ნიუკასლი: ჰისლოპი, უოტხონი (ბარტონი 53), ბერეზფორდი, ბეტი, პიკოკი, ალბერი (ელიოტი 61), გილეხპი, ბერდსლი, შირერი, კლარკი, ფინოლა (ფერდინანდი 99)
გოლი: კლარკი (33), რობსონი (55), შირერი (100)

„ნიუკასლის“ ახალი მწვრთნელი კენი დალგლიში სათადარიგოთა სკამის ნაცვლად ტრიბუნაზე იჯდა. ეტყობა, სრულფასოვან მუშაობას მაინც დღეიდან დაიწყებს, „საუთჰემპტონთან“ პრემიერლიგის თამაშიდან. აკი იმთავითვე განაცხადა, ამ მატჩისთვის გუნდს ტერი მაკდერმოტი და არტურ კოქსი ამზადებდნენ და მე დიდად არ ჩავერევიო.

გულშემატკივრებმა დალგლიშს დიდი ოვაცია მოუწყვეს. ახალი მწვრთნელის მოსვლის დღე ფეხბურთელებსაც საგანგებო თამაშით უნდოდათ აღენიშნათ, მაგრამ ნამეტანმა მონდომებამ უკუშედეგი გამოიღო. ქომაგებსაც მალე გუნება აერიათ და დალგლიშისკენ მიმართული იმედიანი მზერა მოედნისკენ მიპყრობილი შეშფოთებული გამოხედვით შეეცვალათ.

ალან შირერი დალგლიშმა თავის დროზე „ბლეკბერნში“ მიიყვანა. მერე მათი გზები გაიყარა, ახლა კი ისევ შეერთდა. სწორედ შირერმა იხსნა დალგლიში მარცხისგან პირველივე თამაშში. დამატებით დროში, მე-100 წუთზე გატანილი ულამაზესი გოლით მან „ნიუკასლი“ მეოთხე ეტაპზე გაიყვანა, სადაც მას „ნოტინგემ ფორესტი“ ელის. ოცდაათი მეტრიდან შეგდებული ჯარიმა შირერისთვის სეზონის ყველა შეჯიბრებაში გატანილი მე-19 გოლი გამოდგა.

„ნიუკასლს“ ორი მცველი — ფილიპ ალბერი და სტივ უოტსონი დაუშავდა. თავდამსხმელი დავიდ ჟინოლა კი, ტრავმის გამო ხუთი მატჩის გაცდენის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს. ჟინოლა იყო ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც დალგლიშს მოქუფრული გამომეტყველება მოულბო.

პირველდივიზიონელი „ჩარლტონ ატლეტიკი“ კი მოგებას თუ არა, საქმის პენალტებამდე მიყვანას მაინც იმსახურებდა. სტუმრებმა მეტად ჭკვიანური ფეხბურთი ითამაშეს, ეპიზოდურად სჯობდნენ მრისხანე მასპინძლებს და იმის ძალაც ეყოთ, ტაიმის მეათე წუთზე ეფექტური ჯარიმით გაექვითათ. ცაციით და ოსტატურად ეს შედეგიანი საჯარიმო დარტყმა მარკ რობსონმა გაიტანა.

ამგვარად საქმე დამატებით დრომდე მივიდა. მაგრამ იქ, როგორც გითხარით, შირერმა გადასწონა.

ხუთშაბათის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ლესტერი — საუთენდი 2:0, სტოკ სიტი — სტოკპორტი 0:2, განმეორებითი შეხვედრა: სანდერლენდი — არსენალი 0:2.

ᲐᲣᲠᲩᲐᲣᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

ცსკა-ს მთავარი მწვრთნელის ალექსანდრ ტარხანოვის მოხსნამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საფეხბურთო წრეებში იმსაც ამბობდნენ, მწვრთნელის გაშვება თვით არმიის გენერალმა და არმიული სპორტის უფროსმა სტანისლავ ლოგოვსკიმ ისურვაო. ამ ხმებმა, ცხადია, გენერლის ყურამდეც მიაღწია და მითქმა-მოთქმისთვის ბოლო რომ მოეღო, პრეს-კონფერენცია გამართა. მეოთხე ხელისუფლებასთან შესახვედრად ლოგოვსკისთან ერთად ცსკა-ს სპორტის გუნდურ სახეობათა უფროსი ალექსანდრ ბარანოვსკიც მივიდა. გენერლები ჟურნალისტებს საკმაო ხანს ესაუბრნენ, შემდეგ კი ბარანოვსკიმ ტარხანოვის გადაყენების ბრძანება წაიკითხა. საერთოდ, ბარანოვსკის ადრეც ჰქონია უთანხმოება საარმიო სპორტის სხვადასხვა სახეობათა გუნდების მწვრთნელებთან. მაგალითად, მისი კონფლიქტი ჰოკეისტთა ცსკა-ს მწვრთნელ ვიქტორ ტიხონოვთან წლების მანძილზე გრძელდებოდა. ბარანოვსკი, აქაოდა, თანამდებობა მაძლევს უფლებასო, ქვეშევრდომების თავის ჭკუაზე ტარებას ცდილობდა. „ცსკა-ს აქციების 60 პროცენტი ჩვენ გვეკუთვნის. კლუბს სწორედ ჩვენ — არმიის სპორტის ორგანიზაცია განვაგებთ და იმის უფლებაც გვაქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ დავნიშნოთ ან გადავაყენოთ კონკრეტული პიროვნება“ — განაცხადა ბარანოვსკიმ და განაგრძო — „1994 წელს, როცა ტარხანოვი კლუბში მოვიდა, ეტყობა, გაურკვეველი იყო ცსკა-ს გუნდის სტუქტურაში. კლუბის დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე მან თავისი კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის პოსტზე. მინდა აღვნიშნო, რომ კლუბი არმიას ეკუთვნის და იგი ნიშნავს ხელმძღვანელობას. პრეზიდენტი საჭირო რომ ყოფილიყო, მას აქამდეც დავნიშნავდით.“ ტარხანოვი მომხდარს არ შეეგუა და წერილი მისწერა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს ბარანოვსკისა და მისი შეფების უკანონო მოქმედებების შესახებ. ამ ამბავმა ბარანოვსკი აღაშფოთა და ტარხანოვის საქციელი ტიხონოვისას შეადარა, როცა ამ უკანასკნელმა საშველად დიდ თანამდებობებზე მყოფი მეგობრების მისამართით წერილების წერას მიჰყო ხელი. ტარხანოვის მოქმედებას ბარანოვსკიმ სახელდახელო კრების მოწვევით უპასუხა. შეხვედრაზე ცსკა-ს ფეხბურთელთა კლუბის ვეტერანები ვალენტინ ნიკოლაევი, იური ნორკოვი და ვალენტინ ბუბუკინი მიიწვიეს. ამით ბარანოვსკი გულშემატკივართა შორის მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა. „არავის მივცემთ იმის უფლებას, ისევე მოექცეს კლუბს, როგორც ეს 1952-ში გააკეთეს ბერიამ და მალენკოვმა“ — განაცხადა მან. მაშინ, 1952-ში საბჭოთა ნაკრებში ძირითადად ცსკა-ს ფეხბურთელები გამოდიოდნენ. ოლიმპიადაზე საბჭოელთა ნაკრები იუგოსლავიასთან ანუ ტიტოს გუნდთან დამარცხდა. ტიტო სტალინს გულზე არ ეხატებოდა და ფეხბურთელებს ეს მარცხი არ ეპატიათ — 50-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთის ფლაგმანი ცსკა დაშალეს. ეს ისე, ისტორიიდან...

კლუბის სხდომაზე ტარხანოვის გადაყენების მიზეზად უხერხო შედეგები დაასახელეს. „ტარხანოვის მოსვლის მერე წარმატებისთვის არ მიგვიღწევია. ორი წელია, საშუალო გუნდების დონეზე ვთამაშობთ. არმიას კი სუსტი კლუბის ყოლის უფლება არ აქვს, არა აქვს მნიშვნელობა, რა სახეობა იქნება ეს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სეზონში მეხუთე ადგილი დავიკავეთ, შედეგი მაინც არადამაკმაყოფილებელია. კლუბის დირექტორთა სხდომაზე სადირინის მოწვევა გადავწყვიტეთ. სწორედ მას ეუკავშირებთ სამომავლო წარმატებებს. გაისად ქვეყნის ჩემპიონობას ვგეგმავთ. ვფიქრობ, სადირინთან ერთად ამის მიღწევას შევძლებთ“ — დიდი რხით განაცხადა ბარანოვსკიმ. პაველ სადირინი ადრეც მუშაობდა ცსკა-ში. 1991 წელს მისი ხელმძღვანელობით კლუბმა საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ჩემპიონატში იმარჯვა. შემდეგ იგი ნაკრებსაც ედგა სათავეში, ცსკა-ში მისვლამდე კი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ ებარა.

ცსკა ფეხბურთის, კალათბურთის და ჰოკეის გარდა სპორტის კიდევ 23 სახეობას აერთიანებს. სწორედ ამით ამაყობს ბარანოვსკი: „1994 წელს ზამთრის ოლიმპიადაზე რუსეთის გუნდმა ერთეულოა ასპარეზობებში 11 ოქრო მოიპოვა, აქედან 8 ჩვენი თანაკლუბელებისა იყო. ატლანტაშიც რუსეთმა 23 პირადი ოქრო მოიგო, 12 კი ცსკა-ს ნაკრების ანგარიშზეა.“

„სარბიელის“ თხოვნით, „სპორტ-ეკსპრესის“ საფეხბურთო მიმომხილველმა რომან გოლუბევმა სცადა პაველ სადირინთან დაკავშირება, მაგრამ ყოფილმა ზენიტელმა მწვრთნელმა, ტარხანოვისგან განსხვავებით, არათუ თავად მასთან, პრესას ფეხბურთელებთანაც კი აუკრძალა ურთიერთობა. გოლუბევის თქმით, ახლა ორი ცსკა ვარჯიშობს მოსკოვში: ცსკა 1 (მთავარი მწვრთნელი ალექსანდ ტარხანოვი) და ცსკა 2 (პაველ სადირინი). ორივე გუნდში 20-20 ფეხბურთელია, ხოლო თუ სადირინის „იურისდიქციაში“ მყოფ ცსკა-ს დუბლებსაც მივათვლით, მაშინ ორივე ცსკა-ში სულაც სამოცამდე ფეხბურთელი დაითვლება. მარტის ბოლოს რუსეთის მეექვსე ჩემპიონატი უნდა დაიწყოს, მასში მონაწილეობის ოფიციალური განაცხადი კი 18-ის ნაცვლად 19 გუნდს შეუტანია! ამაზე ლიგის გენერალურ მდივანს ვიტალი კრეჩეტოვს უთქვამს, ამაში გასაკვირი არაფერია, არმიელებს ამაზე უარესი რამეებიც ჩაუდენიათო. ახლა რუსეთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელს ნიკოლაი ტოლსტიხს 24 იანვარს ამ ყოველივეს გამო ლიგის საგანგებო სხდომა დაუნიშნავს. ისე, თურმე ორივე ცსკა-ში მრავლად არიან ნიგერიელი, ბრაზილიელი, ბალტიისპირელი და სხვა ეროვნების ლეგიონერები.

მოსკოვში დარხეული ხმები, ტარხანოვი 11 ფეხბურთელით „ტორპედოში“ წავიდა ივანოვის ნაცვლადო, ჭორი გამოდგა. ივანოვი „ტორპედოსთან“ ერთად ისრაელშია შეკრებაზეო, გვაცნობა რომან გოლუბევმა.

ლაშა გოდუაძე

ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲦᲣᲛᲘ ᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲫᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

პობორსკის მხოლოდ კანტონს-ინგლისური ესმის



ჩეხეთი — საფრანგეთი. ეს-ესაა კადლეცმა გადამწყვეტი პენალტი შეაგდო, რასაც პირველი კარელ პობორსკი ულოცავს

სტამბოლში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ფენერბაჰჩე“ დაამარცხა. მატჩის შემდეგ იქურმა ჟურნალისტებმა პობორსკის კითხვების სეტყვა დააყარეს. ჩეხმა მოთამაშემ მხოლოდ რამდენიმეს უპასუხა, შემდეგ დრო იხელთა და სტუმართათვის განკუთვნილ ავტობუსში ავარდა, უკან ცარიელი ადგილი დალანდა და მას მიაშურა. ახლა უკვე აღარავინ აწუხებდა და პობორსკიც დაბურული მინიდან მშვიდად ადევნებდა თვალს მოფუსფუსე ჟურნალისტებს. იგი საკუთარ თავთან განმარტოდა.

კარელ პობორსკის არასოდეს ჰქონია სურვილი პრესის და გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში ყოფილიყო, საერთოდ, თვალში არავის ეჩხირება. თუ კითხვით მიმართავ, უარს არ გტკიცავს, მაგრამ დიდხანს არ გემუსაიფება. ევროპის ჩემპიონატამდე პობორსკის მხოლოდ ჩეხეთში იცნობდნენ, კონტინენტის პირველობის შემდეგ კი ევროპულ ფეხბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატა. ევრო-96-მდე იგი ერთი უბრალო ჩეხი ფეხბურთელი იყო, ჩვეულებრივ მოკვდავი, ტურნირის შემდეგ კი უკვდავებას ეზიარა. ბედის ასეთ შეტრიალებას მის ხასიათზე გავლენა არ მოუხდენია, ის ძველ პობორსკად დარჩა.

ფეხბურთელმა ყრმობა ჩეხეთის სამხრეთში მდებარე პატარა ქალაქ ტრებონში გაატარა. ეს ადგილი ლამაზი ტბებითა და თევზის ჩინებული კერძებით არის განთქმული. ბავშვობაში პატარა კარელს ფეხბურთელობაზე არც უოცნია — ტრებონში ძალზე პოპულარული იყო ჰოკეი და იგიც ამ სპორტით დაავადდა. წლები გადიოდა, მისი ოჯახი სხვაგან გადაბარგდა საცხოვრებლად და კარელმაც ფეხბურთის თამაში დაიწყო. იგი თავიდანვე იქცევდა ყურადღებას, მას კი ეს გულზე არ ეხატებოდა. „არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, არ მსიამოვნებს, როცა ხალხი მეხვეევა და ერთი და იმავე კითხვებით თავს მაბეზრებს. ვიცი, პოპულარული ფეხბურთმა გამხადა, მაგრამ ვერც ეს შემცვლის, რადგან თავიდანვე ასეთი ვიყავი“. — განუცხადა პობორსკიმ ჩეხურ ჟურნალ „გოლს“.

მალე ფეხბურთელი ჟიჟკოვის „ვიქტორიაში“ ჩაირიცხა. ყველაფერი კარგად აეწყო და 1995 წელს ჩეხეთის მეორე კლუბმა „სპარტას“ შემდეგ — დედაქალაქის „სლავიამ“ დაახლოებით 15-20 მილიონი ჩეხური კრონი გადაიხადა მასში. პობორსკიც ათამაშდა, მისი დახმარებით გუნდმა შარშან ნახევარფინალს მიაღწია უეფას თასზე. შემდეგ ევროპის ჩემპიონატი მოვიდა და ფეხბურთელის დიდების ჟამი დადგა.

ევროპის ჩემპიონატზე ჩეხებმა თითქმის იგივე გააკეთეს, რაც 1992 წელს დანიელებმა, იმ განსხვავებით, რომ შვედეთში სკანდინავიელებმა კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვეს. თუმცა კი ანრი დელონეს თასი გერმანელებმა ჩაიბარეს ოთხი წლით, დუშან უჰრინის ნაკრებმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა.

ჯგუფურ ტურნირში პირველი მეტოქე გერმანია იყო. ჩეხებმა სუსტად ითამაშეს, არც კარელს გამოუჩენია მაინცდამაინც თავი და მრავალმა გულშემატკივარმა ჩეხები ჯგუფის მაჩანჩალად მიიჩნია. მეორე მატჩში კი ჩეხებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და სენსაციურად დამარცხეს „სკუადრა აძურა“. პობორსკიმ შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „იტალიელებთან უკან დასახევი გზა არ გვქონდა. მატჩს მთელი ძალები შევალიეთ და აკი მოვიგეთ კიდეც. თამაშის დამთავრებისთანავე უცნაური გძრნობა დამეუფლა — მატჩის პერიპეტიებს ვერ ვიხსენებდი. სწორედ ამან მაიძულა შეხვედრის ვიდეოჩანაწერისთვის მეყურებინა“ — განაცხადა მოგვიანებით პობორსკიმ. იტალიელებთან კი მოიგეს, მაგრამ ამით ყველაფერი არ გადაწყვეტილა. ბოლო ტურში, ლივერპულის „ენფილდზე“, ბოლო წუთებში შმიცერმა მესამე გოლი შეაგდო და ჩეხები მეოთხედფინალში გაიყვანა.

პორტუგალია კერკეტი კაკალი გამოდგა. პობორსკი და კომპანია გამალებით უტევდა მეტოქეს, მაგრამ მათი ყოველგვარი ცდა უშედეგო იყო. და აი, ერთ მომენტში კარელმა იფეთქა, ორ მცველს შუა მყოფმა წინ გამოსულ ბაიას ბრწყინვალე გოლი გაუტანა: თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი მეკარეს, რომელმაც მხოლოდ მზერა გააყოლა მას. ეს პობორსკის საუკეთესო მატჩი იყო მთელ ტურნირზე. „კარელისთვის საფეხბურთო ნიჭი თვით ღმერთს მიუმადლებია. იგი ისეთ ფინტებს აკეთებს, სხვა მოთამაშეები რომ ვერც იოცნებებენ. ბევრმა ფეხბურთელმა უნდა უცქიროს კარელს და ისწავლოს მისგან“ — განაცხადა პორტუგალიელებთან თამაშის შემდეგ ჩეხების მწვრთნელმა დუშან უჰრინმა. სამშობლოში ნაკრები და მეტადრე პობორსკი გმირებად შერაცხეს. კარელი ტურნირის ნამდვილ აღმოჩენად იქცა. იგი უზომოდ პოპულარული გახდა. „პობორსკიმ ჩვენ პანენკა და მისი „ოქროს პენალტი“ დაგვავიწყა. კარელის მზე უკვე ამობრწყინდა“ — წერდა პრაღის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთი. წინ საფრანგეთი იყო...

ფრანგებთან საქმე პენალტებამდე მივიდა და კადლეცის გადამწყვეტმა გოლმა ჩეხეთს ფინალის საგზური მოუპოვა. განმეორდა 1976 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი. მაშინ ჩეხებმა იმარჯვეს, ახლა კი გერმანელებმა შური იძიეს და მესამედ გახდნენ კონტინენტის ჩემპიონები. კარელმაც ვერ გაიბრწყინა, აკი შეცვალეს კიდეც, მაგრამ, ნაკრების არ იყოს, ეროვნულ გმირად მაინც მონათლეს. „გერმანელებთან ფინალის წაგება ძლიერ არ განმიცდია. მთელი ტურნირის მანძილზე ბედი გვიღიმოდა, ფინალში კი იღბალმა ზურგი გვაქცია. ვფიქრობ, ჩვენ საკუთარ თავს ვაჯობეთ. დიდი პატივი იყო ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ „უემბლიზე“ ჩეხეთის ჰიმნის მღერა. გადამწყვეტ მატჩში კი დავმარცხდით, მაგრამ ტურნირმა უდიდესი სიხარული მომანიჭა. ბავშვობის სიზმარი ამიხდა“ — თქვა ევროპის ვიცე-ჩემპიონმა და ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, კარელ პობორსკიმ. „ტურნირის წინ, შესარჩევი მატჩების დროს, ვფიქრობდი — თუ ინგლისში წავალთ, თმას გადავიპარსავ-მეთქი, შემდეგ აზრი შემეცვალა“ — დაამატა მან.

სამშობლოში დაბრუნებულმა პობორსკიმ რამდენიმე დღე პრაღაში დაჰყო. შემდეგ ჰლუბოკას მიაშურა და ტყეესთან ახლოს მდებარე კოტეჯში განმარტოდა. ტყეში სეირნობა, სოკოების კრეფა, კოცონთან ფიქრი — ასე გაატარა შვებულება. ერთი სიტყვით, კარგად დაისვენა. „შინ რომ დავბრუნდი, მინდოდა ყველას მოვზეიოდი. იმ წუთებში ყველა მიყვარდა. ვამაყობ, რომ ჩეხი ვარ“ — განაცხადა პობორსკიმ.

შვებულების შემდეგ „სლავიაში“ დაბრუნდა. ამ დროის განმავლობაში კლუბს ბევრი უცხოელი სტუმარი სწვეოდა კარელის შესყიდვის თაობაზე. პობორსკის შეძენის სურვილი გამოთქვეს „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „ლივერპულმა“, „ბლეკბერნმა“, „ფიორენტინამ“, „ლანსმა“ და „კაზინომ“. იმ პერიოდში „სლავიას“ ფინანსურად უჭირდა და პობორსკის შეელია, მითუმეტეს, კარელში დაახლოებით 4 მილიონ გირვანქას იძლეოდა „იუნაიტედი“. მოლაპარაკებები დიდხანს არ გაგრძელებულა და კარელიც ნისლიან ალბიონზე გადაბარგდა.

ინგლისში დაბრუნება ისეთივე ხმაურიანი არ გამოდგა, როგორც პირველი ვიზიტი. თავიდან ენობრივი ბარიერის გამო გაუჭირდა, მაგრამ თანდათან შეეჩვია. უფრო ჩუმად ყოფნას არჩევდა, რითაც ძალზე განსხვავდება თანაგუნდელი კანტონასგან. „ერიკმა გამაოგნა. იგი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც მეგონა. გამაოცა მისმა კულტურამ და ინტელექტმა. კლუბში იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია. ინგლისურად ნელა საუბრობს და იმ იშვიათთაგანია, ვისი საუბრის გაგებაც შემიძლია“ — ასე დაახასიათა კანტონა პობორსკიმ.

„კარელი ლუდის დიდი მოყვარულია. შარშან, როცა ჩეხეთის საუკეთესო მოთამაშე გახდა, ათასი ბოთლი ლუდი უსახსოვრეს. ძალიან უყვარს „ბუდვაიზერი“. „ექსპერტი არ ვარ, მაგრამ კარგს ცუდისგან ვარჩევ. ვიცი კარგი ლუდის ფასი. მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც „ბუდვაიზერი“ მზადდება. ამ მიზეზის გამო, ალბათ, უფლებაც არ მაქვს, ლუდი არ მიყვარდეს. როცა იტალიელებს მოვუგეთ, ბიჭებმა სამ-სამი კათხა ლუდი დავცალეთ. საერთოდ, ყველა თამაშის შემდეგ ბარში შევდივარ და საკმაოდ ბევრსაც ვსვამ“ — ასე ფიქრობს პობორსკი, კაცი, რომელიც მშვიდი და უპრეტენზიო ცხოვრების გამო ასე უყვარს ათასობით გულშემატკივარს.

კარელ პობორსკი აღზევების ჟამსაც კი იმ ადამიანად რჩება, ვისაც არად უღირს სახელი და დიდება და ხმაურიან და მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრებას წყნარად ყოფნას ამჯობინებს. იგი მეუღლესთან, მარსელასთან ერთად ახლაც დიდ დროს ატარებს თავისი ახალი მანჩეტერული სახლის ბაღში.

ინგლისურ ჟურნალ „გოლიდან“ თარგმნა
ლაშა გოდუაძემ

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲙᲕᲔᲑᲐ

Gerber

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ
ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ
ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲘᲚᲔᲑᲨᲘ
ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲨᲘᲠᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲐ

„ვითა“ არ დაიშლება, ოღონდ გადაჯალისდება

ამას წინათ „სარბიელში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველოს ოთხგზის ჩემპიონის თბილისის „ვითას“ შესაძლო დაშლის შესახებ. მოგახსენებათ, ფაქტი ერთია და მის გარშემო დარხეული ხმები — ათასი. ჩვენც, ჭეშმარიტების დასადგენად ამის თაობაზე ყველაზე კომპეტენტურ წყაროს, „ვითას“ პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს დავეკითხეთ:

— ცოტა შორიდან დავიწყებ და მოგახსენებთ, რომ „ვითა“ შექმნილია ორი კაცის — თემურ დათიკაშვილისა და ვლადიმერ ძიძიგურის მიერ. ისინი არიან გუნდის მეპატრონეები დღესაც. ასე რომ, თუკი ვინმეს სურს, „ვითას“ ახალი პატრონი გამოუძებნოს, როგორც „სარბიელში“ იყო აღნიშნული, ეს მისივე ფანტაზიის ნაყოფია.

— თქვენი პასუხიდან გამომდინარე, ახალი პატრონის ძებნის ფაქტი გამოირიცხა. რამდენად მართალია, თითქოს თქვენ მაისამდე დაპირდით გუნდს შენახვას?

— ამ ინფორმაციამაც დამახინჯებულად მიაღწია თქვენამდე. საქმე ისაა, რომ მოთამაშეებს და მწვრთნელებს კლუბთან კონტრაქტი აქვთ დადებული სეზონის ბოლომდე, ანუ მაისამდე. როცა გუნდი შევკრიბე, ვუთხარი, ამის შემდეგ უკლებლივ ყველა თავისუფალები იქნებით. გუნდის დაკომპლექტება ხელახლა მოხდება. კონტრაქტს იმათთან გავაფორმებთ, ვისი დონეც დაგვაკმაყოფილებს და ვინც ჩვენთან თანამშრომლობაზე თანახმა იქნება. დანარჩენი მოთამაშეები, ვიმეორებ, თავისუფლები იქნებიან, მათ სხვაგან წასვლა-გადასვლაში ხელს არ შეეშლით. რეალურად, დღევანდელი მომზადების დონიდან გამომდინარე, ვაპირებ სამი-ოთხი მოთამაშის დატოვებას. ვნახოთ, მაისში როგორ იქნება. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ გუნდიდან ვინმეს წასვლა „ვითას“ დაშლას არ ნიშნავს. წასულების ნაცვლად ახლები მოვლენ, „ვითა“ კი კვლავ იარსებებს.

— ესე იგი, სერიოზული ფინანსური პრობლემები არ არსებობს. არადა, რამდენიმე პრეს-კონფერენციაზე თქვენ განაცხადეთ, რომ „ვითა“ დახმარებას საჭიროებს...

— მე ფინანსური დახმარება არასოდეს მიგულისხმევია, ვგულისხმობდი მხოლოდ მორალურ მხარდაჭერას და ყურადღებას. ფაქტებით ვილაპარაკოთ. ევროპის თასის პირველ წრეში გუნდმა ნორმალურად ითამაშა. მეორე წრისთვის აცივდა, საქართველოში კი არ არის დარბაზი, რომელიც თბება. ამიტომ ვერ მოვემზადეთ ხვირინად და ცუდადაც ვითამაშეთ. თურქეთში ავტობუსით რომ მივდიოდით, სარფის საბაჟოზე აქედან ოთხი, იქიდან კი ხუთი საათი ტყუილად გაგვაჩერეს, სამტრედიასთან კი საერთოდ ავტომატები დაგვაღირეს... ასე რომ, ფული არ მოგვითხოვია, ვითხოვდით იმას, რომ ჩვენთვის ხელი არ შეეშალათ.

სხვათა შორის, „ვითას“ არასდროს არავითარი შელავათი არ ჰქონია სახელმწიფოსაგან და ეს არც არასდროს მოგვითხოვია. ჩვენ ისეთი რამეები გვსურს, რაც საკალათბურთო გუნდის არსებობისთვის აუცილებელია. დღემდე არ გვაქვს სავარჯიშო დარბაზი. არასდროს გვითქვამს, ესა თუ ის დარბაზი ვინმემ გვაჩუქოს-თქო. ლაპარაკია ოჯარით აღებაზე. უმრავი დარბაზია გაუბედურებულ-გაპარტახებული, ზოგში რა არის გახსნილი, ზოგშიც — რა. ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ერთი დარბაზი ოჯარით ავიღოთ, ფულიც გადავიხადოთ, გავარემონტოთ, მოვაწყოთ, გავათბოთ და ნორმალურად ვივარჯიშოთ.

— დაახლოებით რა თანხა დაუჯდა გუნდს ევროპის თასზე მონაწილეობა?

— განსხვავებით ფეხბურთისაგან, სადაც გუნდებს ევროტურნირებში მონაწილეობისთვის იქით უხდიან ფულს, საკალათბურთო გუნდი ჯერ მარტო მონაწილეობისთვის 15 ათას გერმანულ მარკას იხდის. მასპინძლის გადასახდელია სტუმარი გუნდის (16 კაცის) სამი დღის სასტუმროში (აუცილებლად მაღალი კატეგორიის) ცხოვრებისა და კვების ფული. გარდა ამისა, ორი მსაჯისა და კომისიის აქეთ-იქით მგზავრობისა და ცხოვრება-კვების ხარჯებიც. ეს თანხა ცვალებადია, იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნიდან ჩამოდიან მსაჯები და კომისარი. თითოეული მათგანის გასამრჯელო ათასი მარკაა, სამდივნოს გასამრჯელო — 250 მარკა. ეს ყველაფერი მასპინძელი გუნდის კისერზეა. აქვე ბილეთებზეც მინდა ვთქვა. სპორტის სასახლე ყველა მატჩზე სავსე კი იყო, მაგრამ რეალურად ბილეთის იღებდა 3-4 ათასი კაცი. ამდენად, ბილეთების გაყიდვიდან შემოსულმა თანხამ ხარჯების დაახლოებით მეოთხედი დაფარა.

— რა შემოსავალი აქვს „ვითას“?

— ფირმა „ვითა“ და „ვითა-ბანკი“ დახმარების სახით გვრიცხავენ ფულს. გარდა ამისა, საკალათბურთო კლუბმა „ვითამ“ დაიწყო „ვითას-სპრინტის“ გათამაშება. აქედან შემოსული თანხები მთლიანად გუნდს ხმარდება. მარტიდან ვიწყებთ „ვითა-ლოტოს“ გათამაშებას. მინდა ისიც დავძინო, რომ კლუბი „ვითა“ და ფირმა „ვითა“ ფინანსურად აბსოლუტურად სხვადასხვა ორგანიზაციები არიან. ასევეა „ვითა-ბანკიც“, რომელიც კლუბის სპონსორს წარმოადგენს.

— დაახლოებით რა ოდენობის ხელფასი აქვთ თქვენს კალათბურთელებს?

— ასე ვიტყოდი: მათ ნორმალური ხელფასები აქვთ, გასარმჯელოს მიღებაშიც შეფერხებები არასდროს ჰქონიათ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე დღიან დაგვიანებას, რაც, ასე ვთქვათ, ტექნიკური მიზეზებით იყო გამოწვეული.

— იუგოსლავიაში შვიდი კალათბურთელის გამგზავრება ფინანსური გაჭირვების ბრალი იყო?

— არა. იმ თამაშს აზრი აღარ ჰქონდა. შენგელია დაშავებული იყო, ნაცვლიშვილი და ქარაბაკი — გადაღლილები. ეს ბიჭები დავასვენეთ, თანაც ერთ კვირაში ნაკრებს ისრაელში ჰქონდა მატჩი და მისთვის უკეთ მომზადების საშუალება მივეცით. თანაც, გართულებას მოვერიდეთ: ნაცვლიშვილსაც და ქარაბაკსაც თბილისის მატჩში იუგოსლავიელ კალათბურთელებთან კონფლიქტი მოუვიდათ და კაცმა არ იცის, იქ რა მოხდებოდა.

— და ბოლოს, საქართველოს ჩემპიონატის დონე თუ გაკმაყოფილებთ?

— „ვითა“ მეხუთე ჩემპიონატში მონაწილეობს და ასეთი დაბალი დონისა არც ერთი ყოფილა. უბედურება ისაა, რომ სიტუაცია სეზონიდან სეზონამდე უარესდება. ამას ნებისმიერი შეამჩნევს. ეს უარყოფითად მოქმედებს გუნდის მომზადებაზე. ევროპის თასზე ისე ვითამაშეთ, სპარინგ-პარტნიორი არ გვყოლია. ფაქტობრივად, კალათბურთელი ოთხ თვეს ვარჯიშობს. დანარჩენ დროს ან სეზონი არ არის, ანაც ისე ცივა, რომ ვარჯიში შეუძლებელია. ისეთ პრობლემებსაც ვაწყდებით, რომლებსაც მარტო „ვითა“ ვერ გადაჭრის, არადა, ყველას რატომღაც ისე ჰგონია, რომ ყველაფერი „ვითას“ გასაკეთებელია.

ევროპის თასის მატჩებმა დაგვანახა, რომ ძალიან დაბლა არა ვართ. ის ფაქტიც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ თბილისს ოთხი თვით დავუბრუნეთ ევროპული კალათბურთი. გვინდა თუ არ გვინდა, „კიორმენდთან“ მოგება ქართული კალათბურთის ისტორიაში შევიდა. ეს ისტორია „ვითამ“ შექმნა.

მერაბ რატიშვილი

ქალები ფინალს უმიზნებენ

ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადება დაიწყო საქართველოს ქალთა ნაკრებმა. ამ ტურნირში, რომელიც ავსტრიის ქალაქ ვენზეში 21-26 მაისს გაიმართება, ექვსი გუნდი იასპარეზებს: ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, ალბანეთი, ავსტრია და საქართველო. პირველ ორ ადგილზე გასულნი პირდაპირ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშებენ. გავესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ნუგზარ ჭეიშვილს.

— რას იტყვით ჯგუფის შემადგენლობაზე?

— მეტოქეებს კარგად ვიცნობთ. თურქებს, მოგეხსენებათ, ევროთასებზე შეხვდა ჩვენი ჩემპიონი ქუთაისის „მეობა“. რუმინეთის ჩემპიონსაც შეხვედრია ევროტურნირში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. მაშინ ჩვენმა სტუდენტებმა ორივე მატჩი მეტოქის მოედანზე გამართეს და ხუთი და თორმეტი ქულის სხვაობით დათმეს. ავსტრიელები ევროპის წინა ჩემპიონატის შესარჩევი მატჩში ოცდასამი ქულით დავამარცხეთ. ბულგარელების თამაშის დონეც ვიცით, ასე რომ, მეტოქეებს საკმაოდ კარგად ვიცნობთ.

— ვინ იქნებიან ჯგუფის ფავორიტები?

— ალბათ, ბულგარელები, რუმინელები და ... ჩვენ. დიახ, მიგვაჩნია, რომ ძალა შეგვწევს დაწინაურებულ ორ გუნდში მოვხვდეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვგონია.

— რა გაძლევთ ასეთი ოპტიმიტური განცხადების საფუძველს?

— ჯერ ერთი ჩვენი ნაკრების მოთამაშეებმა გამოცდილება შეიძინეს სხვადასხვა ევროპულ ტურნირებში და ჩვენ ისე ხელოვამოსაკრავნი აღარა ვართ, როგორიც ადრე. ამის დასტურია თუნდაც ჩვენი ამასწინდელი ტურნეიც სომხეთში, სადაც წარმატებით გამოვედით.

ჩვენი მოთამაშეები მაკა კუპატაძე და ლია ჩეკურიშვილი ახლახან დაბრუნდნენ თურქეთიდან, სადაც, შესაბამისად, ანთალიის გუნდსა და თურქეთის ჩემპიონ „ბოთაშში“ თამაშობდნენ. მათაც გარკვეული გამოცდილება შეიძინეს.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ნაკრებში ითამაშებს მედეა მხეიძე, რომელიც ოთხი წელი წარმატებით გამოდიოდა საბერძნეთში. მედეას ბევრგან იწვევდნენ, მაგრამ იგი საქართველოში დაბრუნდა და ქვეყნის ნაკრები ერთი ორად გააძლიერა. მწყობრში არიან ვეტერანები — ნინო სირაძე და თამრიკო ბუიღლიშვილი. ძლიერი კალათბურთელი დადგა გვანცა ომიაძე. გვყავს ახალგაზრდა ტანმაღალი კალათბურთელებიც — მარინა მელიქიძე (192 სმ) და ირინა ციწაძე (201 სმ).

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ნაკრებისთვის ხომ ხელშეწყობაცაა საჭირო. ამ მხრივ როგორღაა საქმე?

— მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. გვეხმარებიან „კალათბურთის ფედერაცია, სპორტდეპარტამენტი, ქუთაისის „მეობის“ ხელმძღვანელობა, მისი პრეზიდენტი ზაზა დვალიშვილი. სპორტდეპარტამენტმა ხელფასებიც დაუნიშნა ნაკრების წევრებს. ასე რომ, თუ სიცივეს არ ჩავთვლით, ხელშეწყობა საკმაოა წარმატებით თამაშისთვის.

— მაისამდე დიდი დროა. საფუძვლიანად მოსამზადებლად რას გეგმავთ?

— 27 იანვრიდან ბაკურიანში მივდივართ შეკრებაზე, თებერვალში კიევის საერთაშორისო ტურნირზე წასვლას ვგეგმავთ. მარტის ბოლოს კი ფედერაციის დახმარებით ისრაელში წავალთ ტურნირზე. 2 მაისს ქუთაისში ოთარ სულაბერიძის სახელობის ტურნირი გვსურს ჩავატაროთ, ამასობაში კი შესარჩევი ტურნირის დროც მოაწევს.

კოტე მგალობლიშვილი

ევროპის თასი

მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩები. 15 იანვარი

ჰაგენი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი) 71:98, ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ულმი (გერმანია) 99:97, ბენფიკა (პორტუგალია) — პსჟ (საფრანგეთი) 63:81, კიორმენდი (უნგრეთი) — ტდკ (ესპანეთი) 83:77

საპასუხო მატჩები 21-22 იანვარს

კორაჩის თასი

მერვედფინალი
პირველი მატჩები. 15 იანვარი

უნიკახა (ესპანეთი) — პისტოია (იტალია) 63:61, არისი (საბერძნეთი) — ბეობანკა (იუგოსლავია) 82:68, მეისუ (თურქეთი) — მაზოვეანკა (პოლონეთი) 72:80, ტაუგრესი (ესპანეთი) — პერისტერი (საბერძნეთი) 83:70, თოფაში (თურქეთი) — ბენსტონი (ხორვატია) 64:57, ბანკა დი რომა (იტალია) — სპორტინგი (საბერძნეთი) 78:66, კასერესი (ესპანეთი) — ზრინიევაცი (ხორვატია) 81:79, პაოკ (საბერძნეთი) — ბენეტონი (იტალია) 85:78

საპასუხო მატჩები 22 იანვარს

ევროლიგა

მე-12 ტური. 15-16 იანვარი

E ჯგუფი

სტეფანელი (იტალია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 73:71, ცსკა (რუსეთი) — ალბა (გერმანია) 67:69, მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — შარლერუა (ბელგია) 87:70

F ჯგუფი

ტიმსისტემი (იტალია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 90:76, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ულქერი (თურქეთი) 97:63, ციბონა (ხორვატია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 85:58

G ჯგუფი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 90:71, ოლიმპია (სლოვენია) — ელან ბერნე (საფრანგეთი) 96:86, ვილერბანი (საფრანგეთი) — დინამო (რუსეთი) 82:52

H ჯგუფი

ეფეს პილსენი (თურქეთი) — კროაცია (ხორვატია) 74:64, პარტიზანი (იუგოსლავია) — ბარსელონა (ესპანეთი) 91:87, კინდერი (იტალია) — ბაიერი (გერმანია) 90:100

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

15 იანვარი

შარლოტ ჰორნეტსი — ნიუჯერსი ნეთსი 116:104, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ფილადელფია 76 126:111, ორლანდო მეჯიკი — ატლანტა ჰოუკსი 78:66, ჩიკაგო ბულლზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 112:102, ნიუ იორკ ნიქსი — სან ანტონიო სფურზი 94:77, სიეტლ სუპერსონიკსი — ტორონტო რეპტორზი 122:78, დეტროიტ პისტონზი — ვანკუვერ გრიზლიზი 103:79, ინდიანა პეისერზი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 108:93

16 იანვარი

მაიამი ჰითი — ბოსტონ სელტიქსი 102:94, ატლანტა ჰოუკსი — ორლანდო მეჯიკი 78:67, ჰიუსტონ როკეტსი — საკრამენტო კინგზი 89:80, დენვერ ნაგეთსი — კლივლენდ კავალიერზი 88:87, იუტა ჯაზი — ფინიქს სანზი 95:91, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — ლოს ანჯელეს ლეიკერზი 102:98

ალმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

ნიუ იორკი	27	10	73,0
მაიამი	27	10	73,0
ვაშინგტონი	19	17	52,8
ორლანდო	15	19	44,1
ნიუ ჯერსი	9	25	26,5
ბოსტონი	9	26	25,7
ფილადელფია	8	28	22,2

ცენტრალური დივიზიონი

ჩიკაგო	33	4	89,2
დეტროიტი	27	9	75,0
ატლანტა	24	11	68,6
კლივლენდი	21	15	58,3
შარლოტი	21	16	56,6
მილუოკი	18	17	51,4
ინდიანა	17	18	48,6
ტორონტო	12	24	33,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

ჰიუსტონი	29	9	76,3
იუტა	25	12	67,6
მინესოტა	16	21	43,2
დალასი	12	22	35,3
სან ანტონიო	9	26	25,7
დენვერი	10	28	26,3
ვანკუვერი	7	31	18,4

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ლოსანჯელესი	28	11	71,8
სიეტლი	27	11	71,1
პორტლენდი	21	16	56,8
საკრამენტო	16	23	41,0
კლიპერზი	14	22	38,9
გოლდენ სტეიტი	14	22	38,9
ფინიქსი	13	25	34,2

ოლ-სტარზე ბურთებს ჩატენიან

9 თებერვალს კლივლენდში გასამართი ოლ-სტარის წინა დღეს, ტრადიციულად გაიმართება კონკურსი ბურთის ჩატენვაში. გუშინ დადგინდა ამ კონკურსის მონაწილეთა ვინაობა:

რეი ალენი	(მილუოკი ბაქსი)
ჭოუბ ბრაიანტი	(ლოს ანჯელეს ლეიკერზი)
კრის კარი	(მინესოტა ტიმბერვულვზი)
მაიკლ ფინლი	(დალას მავერიქსი)
ალენ აივერსონი	(ფილადელფია-76)
ბობ სურა	(კლივლენდ კავალიერზი)

საშთო ოხილამურები

ქართველები ევროპაში, რუსები კი — გუდაურში

საქართველოს ნაკრების ოთხი ვაჟი წევრი — ლევან აბრამიშვილი, ზურაბ ჯიჯიშვილი, დავით ნასყიდაშვილი, გიორგი ხვედელიძე და ერთიც გოგონა სოფიო ახმეტელი ევროპის სამთო-სათხილამურო კურორტზე მსოფლიოს თასის ეტაპებში სცდიან ძალას. სულ ამ შეჯიბრებებში ექვსი ათასი მოთხილამურე ჩაება. ხუთასი საუკეთესო მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზიას მიიღებს. ეს ჩემპიონატი თებერვალში გაიმართება იტალიის სამთო კურორტ სესტრიერში.

როგორც საქართველოს სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ფერბენქს ნავერიანმა გვითხრა, სამ ჩვენებურ სპორტსმენს აქვს შანსი მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობისა, მითუმეტეს, რომ ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორიც გერმანია, ავსტრია, იტალიაა, განსაზღვრული რაოდენობის სპორტსმენები წარსდგებიან ჩემპიონატზე. „ასე რომ, ხუთასივე საუკეთესო შვეიცარიელი რომ გახდეს კიდეც, ამ ქვეყნის ლიმიტი რვა მოთხილამურით განისაზღვრება, ჩვენებს კი რეალური შანსი აქვთ, მოხვდნენ რესტრიერის ტრასაზე“ — თქვა ფერბენქს ნავერიანმა.

თებერვალშივე შვედეთში მოეწყობა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები, სადაც სოფიო ახმეტელი და რამდენიმე ქართველი მოთხილამურე მიიღებს მონაწილეობას. მათი ვინაობა შესარჩევი შეჯიბრებების დროს გაირკვევა.

ის, რომ შარშან აპრილში რუსებმა თავისი ქვეყნის ჩემპიონატი ჩაატარეს გუდაურში, „სარბიელიდან“ გეხსომებათ. მეზობლებს ისე მოსწონებიათ ტრასა და პირობები (ალტაცებას არც მაშინ მალავდნენ), რომ რუსეთის ღია ჩემპიონატის საქართველოში გამართვა წელსაც დაუპირებიათ.

ერეკლე კიკილაშვილი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIII ტური

18 იანვარი

არსენალი — ევერტონი	1,4	3,0	7,0
0:1	2,0	3,4	2,0
ჩელსი — დერბი ქაუნთი	1,3	3,4	8,0
0:1	1,9	3,4	2,1
ქოვენთრი — მანჩესტერ იუნაიტედი	4,0	2,9	1,7
ლესტერი — უიმბლდონი	3,0	2,8	2,0
ლივერპული — ასტონ ვილა	1,5	3,0	5,3
მიდლსბრო — შეფილდ უენსდეი	2,0	2,8	3,0
ნოტინგემი — ტოტენჰემი	2,2	2,7	2,7
საუთჰემპტონი — ნიუკასლი	3,2	2,8	1,9
სანდერლენდი — ბლეკბერნი	2,1	2,8	2,8
ვესტ ჰემი — ლიდსი	2,0	2,8	3,0

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIX ტური

18 იანვარი

ბარნსლი — იფსვიჩ თაუნი	1,2	4,0	9,0
0:1	1,8	3,4	2,2
ბირმინგემი — რედინგი	1,3	3,4	8,0
0:1	2,0	3,4	2,0
ბოლტონი — ვულვერჰემპტონი	1,7	2,9	4,0
ჩარლტონი — სტოკ სიტი	2,0	2,8	3,0
კრისტალ პალასი — პორტსმუთი	1,35	3,2	7,0
0:1	2,0	3,4	2,0
ჰადერსფილდი — მანჩესტერ სიტი	1,7	3,0	3,8
ნორვიჩი — გრიმსბი	1,3	3,6	7,0
0:1	2,0	3,4	2,0
ოქსფორდი — ტრანმერი	1,9	2,8	3,2
პორტ ვეილი — ქუინზ პარკი	2,1	2,8	2,8
შეფილდ იუნაიტედი — საუთენდი	1,2	4,0	9,0
0:1	1,8	3,4	2,2
სვინდონი — ბრედფორდი	1,5	3,0	5,3
ვესტ ბრომვიჩი — ოლდემი	1,5	3,1	5,0

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური

18 იანვარი

სელტიკი — ჰიბერნიანი	1,2	4,0	9,0
0:1	1,8	3,4	2,2
ჰარტსი — დანდი იუნაიტედი	1,7	2,8	4,2
კილმარნოკი — დანფერმლაინი	2,5	2,4	2,5
მოზერველი — რეინჯერსი	6,0	3,2	1,4
1:0	2,2	3,4	1,8
რეით როვერსი — აბერდინი	2,9	2,9	2,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVII ტური

19 იანვარი

ატალანტა — რეჯანა	1,25	3,8	8,0
0:1	2,0	3,4	2,0
კალიარი — მილანი	3,8	3,0	1,7
ფიორენტინა — სამპდორია	1,6	3,0	4,4
ინტერი — ბოლონია	1,3	3,4	8,0
0:1	2,0	3,4	2,0
ლაციო — იუვენტუსი	2,5	2,5	2,4
პარმა — ვერონა	1,3	3,4	8,0
0:1	2,0	3,4	2,0
პერუჯა — პიაჩენცა	1,7	2,8	4,2
უდინეზე — რომა	2,2	2,7	2,7
ვიჩენცა — ნაპოლი	1,6	2,9	4,7

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XVIII ტური

18 იანვარი

კოზენცა — პადოვა	3,0	2,8	2,0

19 იანვარი

ბარი — ფოჯა	1,4	3,1	6,5
0:1	2,0	3,4	2,0
ბრეშია — რეჯინა	1,15	4,4	10,0
0:1	1,7	3,4	2,4
ჩეზენა — ემპოლი	2,1	2,8	2,8
კიევო — პალერმო	1,7	2,8	4,2
კრემონეზე — ლუკეზე	2,5	2,4	2,5
ჯენოა — რავენა	1,7	2,9	4,0
პესკარა — დი სანგრო	1,15	4,0	10,0
0:1	1,7	3,4	2,4
სალერნიტანა — ვენეცია	1,6	3,0	4,4
ტორინო — ლეჩე	1,8	2,9	3,4

ესპანეთის ჩემპიონატი. XX ტური

18-20 იანვარი

ატლეტიკო — რეალი	2,7	2,7	2,2
სელტა — ესტრემადურა	1,35	3,2	7,0
0:1	2,0	3,4	2,0
დეპორტივო — ბილბაო	1,5	3,0	5,3
ერკულესი — ვალიადოლიდი	2,2	2,7	2,7
ბეტისი — ბარსელონა	2,5	2,4	2,5
რაიო ვალეკანო — სპორტინგი	1,6	3,0	4,4
ოვიედო — ვალენსია	2,3	2,5	2,7
ესპანიოლი — სევილია	1,8	3,0	3,3
რასინგი — ლოგრონიესი	1,25	3,8	8,0
0:1	1,9	3,4	2,1
სოსიედადი — კომპოსტელა	1,25	3,8	8,0
0:1	2,0	3,4	2,0
სარაგოსა — ტენერიფე	2,1	2,7	2,9

პორტუგალიის ჩემპიონატი. XVI ტური

18 იანვარი

გიმარაეში — ბენფიკა	5,0	3,1	1,5
პორტუ — ბრაგა	1,2	4,0	9,0
0:1	1,7	3,4	2,4
ლეცა — ჟილ ვისენტე	1,3	3,4	8,0
0:1	1,7	3,4	2,4
მარიტიმუ — სეტუბალი	2,0	2,8	3,0
ფარენსე — შავეში	1,6	2,8	5,0
ესპინიუ — სალგეირუში	1,4	3,0	7,0
0:1	2,0	3,4	2,0
ბელენენსეში — სპორტინგი	6,0	4,0	1,3
1:0	2,4	3,4	1,7
ბოავიშტა — ამადორა	1,5	2,8	6,0
რიუ ავე — ლეირია	2,4	2,5	2,5

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ვინ ამოტივტივდება?

15 იანვარი. ჰარტფორდი — პიტსბურგი 0:3, ოტავა — ვაშინგტონი 5:1, აილენდერზი — ბუფალო 1:2, ტორონტო — ლოს ანჯელესი 2:3, კოლორადო — ტამპა 4:2, ფინიქსი — სენტ ლუისი 1:4, კალგარი — ანაჰაიმი 2:1, ედმონტონი — ფლორიდა 4:0

ერთი და იგივე გმირების მოხსენიება მომბეზრებელიც კია, მაგრამ მორიგ თამაშებში კვლავ პიტსბურგის ვარსკვლავებმა გაიბრწყინეს. ჰარტფორდმა, ვისაც კარგა ხანია არ გაუხარია, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია დივიზიონის ლიდერს, მაგრამ ლემიეს და იაგრის შეჩერება ადვილი როდი იყო. მარიომ მორიგი სამი პასი მიითვალა და 50 გაუხდა, იაგრმა კი (1+1) მეხუთე ათეული წამოიწყო — 41 შაიბა. რაც შეეხება ლალიმს, მან უკვე მესამე მშრალი მატჩი ჩაატარა. პინგვინებმა ორი თვის მანძილზე მხოლოდ ორჯერ წააგეს.

შეუპოვარი ბრძოლა გაიჩაღეს აუტსაიდერებმა. არცერთი ეგუება მდგომარეობას და თავის საშველად ძალ-ღონეს არ ზოგავს. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში ზოგი იჩაგრება — ტორონტომ 1997 წელს ყველა თამაში წააგო, გუშინაც დათმო თავის უშუალო კონკურენტ ლოს ანჯელესთან. სუნდინის 28-ე შაიბის შემდეგ მასპინძლებს 2:1 მიჰყავდათ, მაგრამ ბოლო ხუთ წუთში ფრეც გაუშვეს ხელიდან. ლოს ანჯელესის ფინელმა ნურმინენმა ორი შაიბა შეაგდო (სულ-9). ტორონტო კვლავ რჩება ყველაზე უკომპრომისო გუნდად — არცერთი ფრე.



REUTERS

კალგარი — ანაჰაიმი: ორთანამდვილიბრძოლა

კიდევ ერთ პრინციპულ ორთაბრძოლაში კალგარომ ანაჰაიმს მოუგო, თუმცა, უკვე მე-16 წამზე რუჩინის (10) გარღვევა გამოეპარა. კალგარელმა ფლერიმ თავისი მე-19 შაიბა შეაგდო.

მოულოდნელად დასრულდა მატჩი ოტავაში. ვაშინგტონის ძლიერმა დაცვამ 5-ჯერ ახერხა მასპინძლები. კარგა ხნის უიღბლობისა და ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლის შემდეგ კარგად მოერგო ოტავას ლატვიელი ჟოლტოკი. პირველ პერიოდში იგი ორჯერ დეხმარა პარტნიორებს, შემდეგ კი ზუსტი დარტყმით (6) ბოლო წერტილიც დასვა. თამაშის ბოლო ორ წუთში ნამდვილი მუშტი-კრივი გაჩაღდა, ჩხუბში მეკარეებმაც გამოიღეს ხელი.

კიდევ ორმა აუტსაიდერმა — აილენდერზმა და ტამპამ დაკარგა ქულები, მაგრამ მაყურებლის მოწონება მაინც დაიმსახურეს უკომპრომისობისთვის. უფრო საწყენი აილენდერზის მარცხია, ვინაც ქულებთან ერთად წამყვანი ფორვარდი პალფიც დაკარგა.

ტამპამ კი შეწყვიტა თავისი იღბლიანი სერია. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა დასავლეთის ლიდერის — კოლორადოს სიძლიერე. სამი წამყვანი ფორვარდის არყოფნაში „ეველანში“ მაინც აგროვებს ქულებს, ხშირად — ახალბედების წყალობით. სარომ ლიგაში პირველი გოლი გაიტანა, მილერმა და დიდმარშმა კი ორ-ორი ქულა შეიძინეს.

აღნიშვნის ღირსია ედმონტონელი ახალბედა სმიტის მორიგი ორი შაიბა (სულ 21) და სენტ ლუისელი ცენტრის — ტარჯონის 3 (2+1) ქულა. ამ ორმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ედმონტონისა და სენტ ლუისის მორიგ გამარჯვებებში. ედმონტონელმა ჯოზეფმა კი მეხუთე მშრალი მატჩი ჩაატარა.

ხუთმა დაშავებულმა რუსმა მოთამაშემ ტრავმები ჯერ ვერ მოიშუშა, კიდევ სამი — დეტროიტელი ფიოდოროვი, მონრეალელი ბურე და ედმონტონელი კოვალენკო — ჩემპიონატს გამოეთიშა. სამაგიეროდ, კოვალენკოს პარტნიორი არნოტი გამოკეთდა და „ოლ სტარის“ თამაშამდე ორი პასიც გაახერხა.

დებიუტანტები: სმიტი (ედმონტონი) 38 (21+17), კემპბელი (სენტ ლუისი) 30 (14+16), აიჯინლა (კალგარი) 30 (13+17), ბერარდი (აილენდერზი) 26 (5+21), ლანგებრიუნერი (დალასი) 23 (11+12), ნინიმა (ფილადელფია) 22 (1+21), ბერეზინი (ტორონტო) 21 (13+8), მიურეი (ედმონტონი) 21 (8+13).

მცველები: ლიჩი (რეინჯერზი) 44 (11+33), ოზოლინში (სან ხოსე) 42 (15+27), ჰეტჩერი (პიტსბურგი) 36 (10+26), ტვერდოვსკი (ფინიქსი) და ჩელიოსი (ჩიკაგო) 32 (8+24), ლიდსტრიომი (დეტროიტი) 29 (7+22), მირონოვი (ედმონტონი) 27 (5+22).

ბომბარდირები: ლემიე 79 (29+50), იაგრი (ორიეე პიტსბურგი) 72 (41+31), გრეცკი (რეინჯერზი) 62 (16+46), სუნდინი (ტორონტო) 59 (28+31), სელიანე (ანაჰაიმი) 56 (25+31), საკიკი (კოლორადო) 55 (15+40), ფრენსიზი (პიტსბურგი) 54 (17+37), ტკაჩუკი (ფინიქსი) 51 (29+22), ლეკლერი (ფილადელფია) 51 (27+24), მესიე (რეინჯერზი) და ჟანაპანი 49 (25+24), აიზერმანი (ორიეე დეტროიტი) 49 (12+37), პალფი (აილენდერზი) 48 (26+32), რეჩი (ანაჰაიმი) 48 (21+27).

სნაიპერები: იაგრი 41, ლემიე და ტკაჩუკი 29, სუნდინი და ამონტე 28, ბონდრა და ლეკლერი 27, პალფი 26, მესიე, შენაჰანი და სელიანე 25.

ასისტენტები: ლემიე 50, გრეცკი 46, საკიკი 40, აიზერმანი და ფრენსიზი 37, ლიჩი (რეინჯერზი) 33, იაგრი, სელიანე და სუნდინი 31.

გოლები უმრავლესობაში: შენაჰანი და ლემიე 11, ჯოუნზი (კოლორადო), იაგრი, ალფრედსონი (ოტავა) და ტიტოვი (კალგარი) 9.

გოლები უმცირესობაში: მესიე 5, ბონდრა, მარჩანტი (ედმონტონი) და გრეიზი (რეინჯერზი).

დარტყმები: ფლერი (კალგარი) 194, ლემიე 193, შენაჰანი 188, ლეკლერი 187, მაკინისი (სენტ ლუისი) 182.

მეკარეთა მშრალი მატჩები: რუა (კოლორადო) 6, ჯოზეფი (ედმონტონი) და ჰაშეკი (ბუფალო) 5.

ბოლოს იაგრიც დაშავდა

18 იანვარს სან ხოსეში გაიმართება დასავლეთის და აღმოსავლეთის ვარსკვლავების ტრადიციული შეხვედრა. გულშემატკივრებმა ახლაც ამოირჩიეს საუკეთესო ექვსეულები.

აღმოსავლეთი

მეკარე ვანბისბრუკი (ფლორიდა), მცველები ბურკი (ბოსტონი) და ლიჩი (რეინჯერზი), თავდამსხმელები გრეცკი (რეინჯერზი), იაგრი (პიტსბურგი) და სისარელი (ტამპა). გრეცკი მეთექვსმეტედ მოხვდა ვარსკვლავთა სიაში და „ოლ სტარის“ შემადგენლობაში თამაშის რაოდენობით მხოლოდ ლეგენდარულ გორდი ჰოუს ჩამორჩება — 23.

დასავლეთი

რუა (კოლორადო) — ჩელიოსი (ჩიკაგო), ოზოლინში (კოლორადო) — საკიკი (კოლორადო), კარია (ანაჰაიმი), ჰალი (სენტ ლუისი).

დანარჩენები ლიგის მესვეურებმა დაასახელეს.

აღმოსავლეთი. **მეკარეები:** ბროდო (ნიუ ჯერზი) და ჰაშეკი (ბუფალო); **მცველები:** კოფი (ფილადელფია), კ. ჰატჩერი (პიტსბურგი), სტივენსი (ნიუ ჯერზი) და შვეჰლა (ფლორიდა); **თავდასხმა:** მესიე (რეინჯერზი), ლემიე (პიტსბურგი), ლინდროსი, ლეკლერი (ორივე ფილადელფია), ბონდრა (ვაშინგტონი), პალფი (აილენდერზი), ალფრედსონი (ოტავა), რეჩი (მონრეალი), სანდერსონი (ჰარტფორდი).

დასავლეთი. ოსგუდი (დეტროიტი) და მუგი; დ. ჰეტჩერი (ორივე დალასი), ბლეიკი (ლოს ანჯელესი), ტვერდოვსკი (ფინიქსი) და მაკინისი (სენტ ლუისი); აიზერმანი (დეტროიტი), სუნდინი (ტორონტო), მოდანო (დალასი), ნოლანი (სან ხოსე), ფლერი (კალგარი), არნოტი (ედმონტონი), ბურე (ვანკუვერი), ფორსბერგი (კოლორადო) და ამონტე (ჩიკაგო).

ამ 46 ჰოკეისტიდან 22 კანადის წარმომადგენელია, 11 ამერიკელი, 5 ყოფილი საბჭოთა, 3 სლოვაკი, 2-2 — ჩეხი და შვედი და ერთიც ფინელი. კლუბთაგან კი ყველაზე მეტი ვარსკვლავი ფილადელფიას ჰყავს — 4.

გუნდებს მოედანზე გამოიყვანენ ნჰლ-ის ყველაზე პერსპექტიული მწვრთნელები — ფლორიდელი მაკლინი და დალასელი ჰიჩკოკი. ეს მათი ბოლოდროინდელი მოღვაწეობის უდაო დაფასებაა.

სულ ბოლო მომენტში შევიტყვეთ, რომ ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ლიგის საუკეთესო სნაიპერი იაგრი (41 გოლი) და დალასის ლიდერი მოდანო. იაგრს ბოსტონის წამყვანი ცენტრი ოუთსი შეცვლის, დაშავებულ სლოვაკ პალფის კი — თანაკლუბელი ლაშანსი.

სამგელ ღარიბიანი

ევროლიგა

გამოვლინდა ევროლიგის გათამაშების ფინალური ოთხეული. ჩვენი პროგნოზი გამართლდა — შემდეგ წრეში უპრობლემოდ გავიდნენ მოსკოვის „დინამო“, ფინეთის ტპს და ჩეხეთის „სპარტა“.

სტუმრად 5:1 მოგების მერე რუსები შინ მარცხდებოდნენ — 0:1, მაგრამ ბოლო პერიოდში სამჯერ დაჯაბნეს „სლოვანი“ — 3:1.

კვლავ იმარჯვა ტპს-მ, თუმცა, თავისი ქომაგები საკმაოდ ანერვიულა, რაკი სტუმრები — „ლიტვინოვის“ ჰოკეისტები ორჯერ დაწინაურდნენ. მხოლოდ ბოლო ხუთ წუთში გადაწყვეტეს მატჩის ბედი თავიანთი კლუბის სასარგებლოდ ესტონელმა სუურსოომ და მიეტინენმა — 4:2.

პრაღაში იქაური „სპარტა“ უმოწყალოდ გაუსწორდა თანამემამულე „ჩესკეს“. პრაღელთა ფორვარდმა, გამოცდილმა ზემლიჩკამ ოთხი შაიბა შეაგდო, ზელენკამ (1+3) და ლანგმა (2+2) კი დაასრულეს სტუმართა განადგურება — 9:3.

ფინეთის ჩემპიონმა „იოკერიტმა“ სტუმრად 1:1 ფრეს შემდეგ მოულოდნელი მარცხი იწვნია შვედური „ფრელუნდასგან“. ყველაფერი მეორე პერიოდში გადაწყდა. იუჰანსონის და ლიუს ორმა შაიბამ „ფრელუნდა“ დაწინაურა, ამას მასპინძლებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. ევროთასის ბოლო ორი წლის მფლობელი ასპარეზობას გამოეთიშა.

ფინალური ტურნირი იანვრის ბოლოს გაიმართება ფინეთის ქალაქ ტურკუში. 25-ში კი ნახევარფინალებია: ტპს — სპარტა, დინამო — ფრელუნდა.

პრემიერა ლაზათიანი გამოდგა

ფალავანთა კლუბის დარბაზი, რომ იტყვიან, თითებზე ჩამოსათვლელ ხალხს იტევს, ჰოდა, ბერძნულ-რომაულად მოჭიდაეთია საქართველოს ჩემპიონატის პირველ დღეს ანუ გუშინ დარბაზში ქომაგთა ტევა არ იყო. დარბაზის სისავსე სპორტსმენთათვის კარგი სტიმულია და გაეფიქრე კიდეც, ლაზათიანი ჭიდაობა გაჩაღდება-მეთქი. არც შევმცდარვარ — პირველსავე ორთაბრძოლებს ეტყობოდათ, რომ ჩემპიონატზე საგანგებოდ მომზადებული ფალავნები ასპარეზობდნენ. რამდენიმე ორთაბრძოლის შემდეგ შეჯიბრება შეწერდა — სპორტსმენებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გამოჩენილი ქართველი ფალავნის, ჰელსინკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის შალვა ჩიხლაძის ხსოვნას. ამის შემდეგ ჭიდაობა განახლდა. ჩემპიონატზე საქართველოს 15 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ. ზოგიერთ წონაში 20-25 მოჭიდავე გამოდიოდა. თუ გავიხსენებთ, რომ 4-5 წლის წინ ამგვარსავე ტურნირზე 5-6 გუნდის გამოსვლაც დიდ საქმედ ითვლებოდა, ზოგ წონაში კი შეჯიბრი პირდაპირ ნახევარფინალებიდან იწყებოდა, აშკარად დავინახავთ, თუ ძველებთან შედარებით რამდენად უკეთესი იყო ეს ჩემპიონატი. არც ტიტულოვან და ნიჭიერ ოსტატთა სიმცირე იგრძნობოდა. იყო დრო, ამგვარი ასპარეზობისას ხალიჩაზე ერთ დღეს შეგეძლო გეხილა მიხეილ სალაძე, თემურ აფხაზავა, თემურ ყაზარაშვილი... ამჯერად ესოდენ მქუხარე სახელებს ვერ ჩამოგითვლით, ამიტომ იმას უნდა დავყაბულდეთ, რაც სადღეისოდ ღმერთმა გვიბოძა: მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორმა ბაკურ გოგიტიძემ, ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა მირიან გიორგაძემ, ხვიჩა ბიჩინაშვილმა, ბესიკ ზურაბიანმა და თამაზ გოგელიამ არაერთხელ ირგუნეს მაყურებლის ტაში. სამწუხაროდ, მათ მხარი ვერ დაუმშვენა ტარიელ მელელაშვილმა, რომელსაც ატლანტის ოლიმპიადაზე მიღებული ტრავმა ბოლომდე არ მოშუშებია.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ტურნირი იყო ჩვენში, რომელიც ფილას ახალი წესებით ჩატარდა. ფილამ 10 წონის ნაცვლად 8 დაუწესა ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, ახლებურადვე გამიჯნა წონითი კატეგორიებიც, ამიტომ მოჭიდავეებს ერთი თვე ჰქონდათ ასარჩევად, რომელ წონაში ეასპარეზათ. ზოგი შეეგუა ახალ წონას, ზოგი — ვერა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ პრემიერის პირველი დღე მაინც გამოირჩეოდა ლაზათი და ჟინიანი ჭიდაობით.

წელან მონაწილეთა სიმრავლე ვახსენე. მართლაც, ზოგ წონაში იმდენი ფალავანი ასპარეზობდა, რომ ყველგან ვერ მოხერხდა ფინალისტთა გამოვლენა. შებინდებამდე კი, ფინალისტთა აი, ეს წყვილები გახდა ცნობილი:

54	ვაჟა ომანიძე (თბილისი) აკაკი კუნჭულია (ბათუმი)
58	ალექსანდრე ცერცვაძე (ქუთაისი) ალექსანდრე ბოლქვაძე (ოზურგეთი)
63	იმედა ფრწუაშვილი (გარდაბანი) აკაკი ჩაჩუა (სამტრედია)
85	ზურაბ ნიკარიძე (თბილისი) ემზარ მახარაძე (თბილისი)
97	ზაზა სილაგაძე (თბილისი) ბაკურ გოგიტიძე (თბილისი)
მძიმე	მირიან გიორგაძე (თერჯოლა) ხვიჩა ქორიძე (თბილისი)

ვიქიდი

შეღავათიან ფასებში ტყუპების ჩასაჯდომ ნახმარ ეტლს მუშა მდგომარეობაში.

ტელ. 22-47-66

ვარლამიჩს იაპონელებიც დაუჩოქებია

ილია ხხარტიშვილმა ქართულ სპორტს რომ ამაგი დასდო, იმდენს ზოგჯერ მწვრთნელთა თაობა ვერ აკეთებს. რაც ამ დიდბუნებოვანმა ადამიანმა იღვაწა, ფუტკარივით იშრომა, ყველა ქართველმა ამის მეათედი რომ გააკეთოს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. 1929 წლის 1 იანვარს დაიბადა, ახალწელს, გურულ კალანდობას და როგორც შინაურებს ეჩვენებათ ხოლმე, თვალის დახამხამებაში წამოიწარდა. ჩაფსკენილი ბიჭი იმთავითვე ჭიდაობით დაინტერესდა, ნახერხმოყრილი საჭიდაო მალე დარბაზმა და ხალიჩამ შეცვალა და ახალგაზრდა ილია ჩხარტიშვილი გივი კარტოზიას, დავით ციმაკურიძისა და დავით გვანცელაძის მეტოქე და პარტნიორიც ხშირად ყოფილა. თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობას სამმოსაც უნაცვლებდა, არცთუ მოკრძალებული შედეგები ჰქონდა ჭიდაობის სამივე სახეობაში, მაგრამ ჭაბუკობაშივე შეეშვა აქტიურ სპორტს და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ვინ იფიქრებდა, თუ ილია ჩხარტიშვილი ამ გადაწყვეტილებით სათავეს დაუდებდა ქართველ ფალავანთა გამარჯვებებს. მწვრთნელად მოსულმა შემოიკრიბა ნიჭიერი ბიჭები და დინჯად, მოთმინებით დაიწყო მომავალ გამარჯვებათა გამოჭედვა. პირველი მერცხალი, ვინც მისი ამაგი დააფასა, ნოდარ ხოხაშვილი იყო — ნოდარი ჯერ ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობდა, მაგრამ ოსტატის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია შეგირდის მონაცემები და თავისუფალი სტილით ჭიდაობა დააწყებინა. შედეგმაც არ დააყოვნა — ნოდარ ხოხაშვილმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო. ცოტა არ იყოს, უიღბლო სპორტსმენი იყო ხოხაშვილი, ამიტომაც ვერც ევროპის, ვერც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს მედალი ვერ მოიგო, ორივეგან მეორე იყო, ხოლო 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე მე-3 ადგილზე გავიდა. არადა, ხოხაშვილისთანა ლამაზი და საცქერლად საამო ჭიდაობით ბევრი ვერ დაიკვეხნიდა. პირველ გამარჯვებას ზედმეტად ემოციურად აღიქვამ კაცი, არც არასდროს გავიწყდება, ამიტომაც ნოდარ ხოხაშვილი გამორჩეულად უყვარდა მწვრთნელს და შვილობილად უხმობდა.

„ბატონი ილია გამორჩეული პიროვნება იყო — იგონებს „შვილობილი“ — არ მეგულება ადამიანი, ვისაც მასსავით ჰყვარებოდა ჭიდაობა და შეგირდები. მართლა მამობილი იყო ჩვენი. მახსოვს, რაიონიდან ჩამოსული უბინაო ბიჭები თვეობით, ზოგი წლობითაც ვჯხოვრობდით ვარლამიჩის ბინაში, გვაჭმევდა, გვასმევდა, თქვენ ოღონდ იჭიდავეთ, ჩიტის რძეს არ მოგაკლებთო, — იტყოდა ხოლმე. ერთმა მისმა შეგირდმა, ჩემმა მეგობარმა მის ბინაში მოიყვანა ცოლი, ვარლამიჩმა ქორწილიც გადაუხადა და მის ბინაში მეუღლითურთ კარგა ხანსაც ცხოვრობდა. ხშირად ქალბატონი ნუნუ, ვარლამიჩის მეუღლე ცხრა-ათ ხელ ლოგინს დაგვიგებდა-ხოლმე. მე და მთელი გუნდი მის სახლში ვცხოვრობდით.“

ილია ჩხარტიშვილის ნიჭი და შრომისმოყვარეობა არც მოსკოვში გამოეპარათ და დაუძახეს კიდეც — მართალია, ქართველ კაცს საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა არ ანდეს — მეორე მწვრთნელად დანიშნეს, მაგრამ საქმის მკეთებელი და დიდ ფალავანთა აღმზრდელი სწორედ იგი იყო, გამარჯვებაში ლომის წილი ედო ყოველთვის. 1966-67 წლებში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს ავარჯიშებდა, შემდეგ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს მოძღვრავდა და ერთგანაც და მეორეგანაც წლების მანძილზე წარმატებები არ ელეოდათ მის აღმზრდელებს. მარტო ერთი ფაქტის გახსენება რად ღირს: საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ილია ჩხარტიშვილამდე 3 შეხვედრა გაუმართა იაპონიის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, ორჯერ მცირე უპირატესობით სძლიეს „რუსებმა და მოკავშირეებმა“ ახიელებს, ერთი შეხვედრა კი ფრედ დაამთავრეს. 1973 წელს დაინიშნა ილია ჩხარტიშვილი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად და მაშინვე ბიჭები იაპონიაში წაიყვანა, ოღონდ 10 კაცის მაგივრად 8 კაცით გაემგზავრნენ — ორ წონაში მოჭიდავეები აკლდა გუნდს, მაგრამ ოთხი შეხვედრა გაუმართეს ჩხარტიშვილის ბიჭებმა იაპონელებს და ოთხჯერვე სძლიეს 8 კაციანი გუნდით 10 კაციანს. ლევან თედიაშვილმა, დავით ყვარაღაშვილმა, აკაკი ხოხაშვილმა, რონდობოროჯგინიძემ და სხვა ქართველმა ფალავნებმა შეძლეს ის, რაც მთელი საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოჭიდავეთა კრებულმა ვერ მოახერხა.

ნიჭის ამოცნობის უიშვიათესი ნიჭი ჰქონდა ბატონ ილიას. თუ ახალგაზრდას თვალს დაადგამდა, თავს თავს არ დაზოგავდა, შეგირდსაც სისხლს გაუშრობდა და არ მოეშვებოდა, ვიდრე მოჭიდავედ არ აქცევდა.

თემურ ყაზარაშვილზე ზარმაცი სპორტსმენი, ალბათ, იშვიათია, მაგრამ გამოცდილ მწვრთნელს არც ამჯერად უმტყუნა ალღომ. თემურიც საკმაო ხანს მისი მდგმური იყო, დილაობით წამოაგდებდა ლოგინიდან და მანქანით კუს ტბაზე აჰყავდა სავარჯიშოდ. მთელი დღის განმავლობაში გვერდიდან არ იშორებდა — ცულლუტი ბიჭია, არ გამეპაროს და ვარჯიშში არ გამიცდინოსო. შემდეგ თემურმა ნუცუბიძის პლატოზე დაიდო ბინა, ეკონა, ახლა დავისვენე, ვარლამიჩი ნაკლებად შემაწუხებსო, მაგრამ ნურას უკაცრავად — ვარლამიჩი კვლავ უთენია ადგებოდა თავს, კვლავ მანქანით წაიყვანდა კუს ტბაზე და გრძელდებოდა ასე, ვიდრე ყველაფერი არ გამოწურა ბატონმა ილიამ შეგირდისგან — ზარმაცმა თემურმა ჯერ მსოფლიოს უნივერსიადა მოიგო, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი და მსოფლიოს თასიც მიაყოლა ზედ. საკავშირო და სხვა საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებულ მედლებზე არც ღირს ლაპარაკი. ალბათ, უპრიანი იქნება, თავად თემურ ყაზარაშვილმაც მოგვითხროს ამაგდარ ოსტატზე.

„1979 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით, საქართველოს ნაკრებს შეთვალს დაადგამდა, თავს თავს არ დაზოგავდა, შეგირდსაც სისხლს გაუშრობდა და არ მოეშვებოდა, ვიდრე მოჭიდავედ არ აქცევდა.

თემურ ყაზარაშვილზე ზარმაცი სპორტსმენი, ალბათ, მთელი ცხოვრება არ დაავიწყდება 1983 წელს მოშხდარი ამბავი — ალუშტაში თემურს ბატონები შეხვდა, გამოუშვეს საკავშიროს ნაკრების შეკრებიდან და ჩამოვიდა თბილისში. ბატონი ილია და მისი მეუღლე ყოველღე აკითხავდნენ სახლში. ჩამოუჯდებოდა ბატონი ილია შეგირდს საწოლთან და ბატონების საამებლად ხმადაბლა უმღეროდა. ექიმსა და წამლებს ხომ არ აკლებდა. დამეთანხმებით, ბევრი ღვიძლ შვილს არ გაუკეთებს იმდენს, რასაც ჩხარტიშვილი თავის შეგირდებს უკეთებდა.

ილია ჩხარტიშვილმა სახელიან ფალავანთა მთელი კრებული აღუზარდა საქართველოს. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ზოგიერთი მათგანის წარმატებები და ტიტულები უფლებას არ გვაძლევს, არ გავიხსენოთ ისინი — ნოდარ ხოხაშვილის ძმამ ახალგაზრდებში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, როინ დობოროჯგინიძემ მსოფლიოს თასი მოიპოვა, ანდრეი ცხოვრებოვმა ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა, ასევე ევროპაში იყო პირველი ალე ილურიძე, ოღონდ ახალგაზრდებში. მაგრამ ილია ჩხარტიშვილსაც ჰყავდა თავისი ფალავანთა ფალავანი, სწორუპოვარი და ყველაზე ტიტულოვანი შეგირდი — რომან რურუა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიადის გამარჯვებული და ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. მარტო რომან რურუას დარი ერთი სპორტსმენის აღზრდა ეყოფოდა ნებისმიერ მწვრთნელს საამაყოდ და უკვდავსაყოფად. რურუას, მართალია, ჭიდაობის ანბანი ნერსეს აკოფომა შეასწავლა, მაგრამ დიდ მოჭიდავედ ბატონმა ილიამ აქცია. უფრო მეტიც, ახალგაზრდა რომან რურუამ, ჯერ კიდევ უტიტულო სპორტსმენმა, მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ბუნებრივია, ფრომმა დაკარგა, ვარჯიშს გული ვეღარ დაუდო, მწვრთნელებმაც იფიქრეს, დაკარგულს ვეღარ აღიჩენსო. და, არც დაუძალებიათ მოდი, ივარჯიშეო. თითქმის ყველამ ჩამოიყოლა პერსპექტიული მოჭიდავე. მაგრამ ილია ხხარტიშვილს მას გაჩერებდა, რურუა ბიჭია — არ მოუშვა, მოიკიდა ხელი, კვლავ დაუბრუნა ჭიდაობას და ოსტატმა და შეგირდმა მუხლჩაუხრელი შრომით გამოჭედეს დიდი გამარჯვებები.

ასევე ბატონ ილიას ხელში ისწავლა ჭიდაობა კიდევ ერთმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვახტანგ ბლაგიძემ. მართალია, დიდ მოჭიდავეთ სხვა მწვრთნელთა ხელში იქცა, მაგრამ პირველი დამკვალიანებელი და ბლაგიძის პირველ წარმატებათა შემოქმედი ბატონი ილია იყო.

როგორც მწვრთნელს, ილია ჩხარტიშვილს მოსაგები არაფერი დარჩენია. მისმა შეგირდებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონტებით დაწყებული, ოლიმპიადით დამთავრებული ყველაფერი მოიგეს, მაგრამ ამ გამარჯვებებზე არანაკლებ ძნიშნელოვანი იყო მისთვის 1973 წელს ჩელიაბინსკში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველ ოსტატთა გამოსვლა — ჩვენებურებმა ნამდვილი ფურორი მოახდინეს, არანაირი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეებს, მანამდე აღიარებული ლიდერები, რუსი და უკრაინელი ფალავნები პირწმინდად დაამარცხეს და პირველად მოიგეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. მაშინ ქართველ ფალავნებს, მართალია, უკვე შორს ჰქონდათ სახელი გავარდნილი, მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტის ჩინოვნიკები შინაურ შეჯიბრებებზე ცოცხალი თავით არ აკებინებდნენ ქართველებს. ჩელიაბინსკში კი იმდენად დიდი იყო ჩვენს თანამემამულეთა უპირატესობა, რომ ვერც თავიანთმა მსაჯებმა და ვერც სხვა ხელოვნურმა დაბრკოლებებმა ვერ უშველეს რუს და უკრაინელ მოჭიდავეებს.

ყველა სიკეთესთან ერთად გამორჩეული მსაჯიც იყო ილია ჩხარტიშვილი — 1970 წელს, გერმანიაში, ფილას სემინარზე 70 კაციდან მხოლოდ ორს მიანიჭეს საერთაშორისო კატეგორიის ექსტრაკლასის მსაჯის წოდება და მათგან ერთ-ერთს შორის ილია ჩხარტიშვილი იყო. ამ დღიდან არაერთგზის იმსაჯა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები და მიუხედნის ოლიმპიადაზე ერთ-ერთ საუკეთესოდაც აღიარეს. ალბათ, ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშნა, რომ ბატონ ილიას სიკვდილის შემდეგ მის სასტვენსა და წამზომს ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა — როცა თემურ ყაზარაშვილი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა, ბატონ ილიას ეაჟმა თამაზმა მას გადასცა ეს ძვირფასი რელიქვია.

თამაზზე, ერთადერთ ვაჟიშვილზე, იმდენს არ ზრუნავდა, რამდენსაც თავის შეგირდებზეო, — მითხრა ქალბატონმა ნუნუ ჩხარტიშვილმა და მართლაც ასე იყო. თამაზიც ჭიდაობდა, მაგრამ მოწაფეებზე თავგადადებულმა კაცმა შვილისთვის ვერ მოიცალა, სხვისი შვილების დევნაში იქნებ ერთი ნიჭიერი მოჭიდავე გამორჩა კიდეც.

თავმდაბალი, უწესიერესი კაცი იყო ილია ჩხარტიშვილი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული. უამრავი მიწვევა ჰქონდა — ეპატიჟებოდნენ ალჟირში, პოლონეთში, მექსიკაში, ამერიკაში, ოღონდ ჩამოდი, ჩვენს გუნდს უხელმძღვანელე და ხელისგულზე გატარებთო, — ეუბნებოდნენ უცხოელები, მაგრამ ყველას დაუფიქრებლად უარს ეუბნებოდა. ქართულ ჭიდაობას ანაცვალა ყველაფერი და თავისი მოძველებული „ჟიგულით“ თემურ ყაზარაშვილის დევნა არჩია ფუფუნებას და დალხინებულ ცხოვრებას.

სიბერეში, როცა საკეთებელი თითქმის მოილია და როგორც მწვრთნელმა ყველაფერი გაიღო ჭიდაობისთვის, საქართველოს სპორტის მესვეურნი არაერთგზის სთავაზობდნენ სპორტის სფეროში სხვადასხვა თანამდებობას. ეუბნებოდნენ — დაისვენე, დაჯექე კაბინეტში და აქედან უხელმძღვანელე ქართულ ჭიდაობასო. ცოცხალი თავით არ დათანხმდა, კაბინეტი და თანამდებობა კაცს აფუჭებს და, აბა, რა ჩემი საქმეა ეგაო, — იტყოდა ხოლმე. არასდროს არანარი ცდუნებას არ აჰყოლია, ამქვეყნად მოვიდა კაცურად, კაცურადვე იცხოვრა და პირნათელი და ვალმოხდილი წავიდა იმქვეყნად. წავიდა და დაგვტოვა უამრავი ტკბილად მოსაგონარი გამარჯვება, უამრავი ლამაზი წუთი და მარად გადაუხდელი ვალი — ქართული სპორტული სამყარო მუდამ ვალში იქნება ოსტატთა-ოსტატის წინაშე.

ლევან ჯაბახიშვილი



ილია ჩხარტიშვილი და მისი „ჯიუტი“ შეგირდი თემურ ყაზარაშვილი

ხშირად ნახავდით ილია ჩხარტიშვილს გამარჯვებულის თასით ხელში

ბოლო ხუთ-გუნდა?!

დღეს იანვრის მესამე შაბათი რომაა, მორიგი ხუთი ერის პირველობაც იწყება.

გაისად ასე აღარ იქნება. ერთი რომ, რაგბის მამები უკვე მორიგებულან და დაწყება სათებერვლოდ დაუნიშნავთ, დამთავრება კი — სააპრილოდ. მეორეც, გაისად პირველობაზე შეიძლება იტალიაც ვიხილოთ, თუმცკი ამ კვირაში შეკრებილ „ხუთი ერის კომიტეტს“ ეს საკითხი არ განუხილავს და არც მარტის ბოლოსთვის დათქმული სხდომისთვის შეუტანია დღის წესრიგში.

არადა, ბრიტანული და ფრანგული მედია კარგა ხანია მოუწოდებს დიდ-მოხელეებს, რომ ამათ რამე უშველონ შეჯიბრს, რომელიც უველას წმიდათაწმიდად კი მიაჩნია, მაგრამ იმასაც კარგადა გრძნობს, რომ ყავლი გასვლია და განახლება ჭირდება.

5 ერის განრიგი

(ბოლო ოთხი წლის ბალანსითურთ)

18. I შოტლანდია — უელსი 3-1
ირლანდია — საფრანგეთი 0-4

1. II ინგლისი — შოტლანდია 4-0
უელსი — ირლანდია 1-3

15. II ირლანდია — ინგლისი 2-2
საფრანგეთი — უელსი 2-2

1. III შოტლანდია — ირლანდია 3-0(1)
ინგლისი — საფრანგეთი 3-1

15. III უელსი — ინგლისი 1-3
საფრანგეთი — შოტლანდია 2-2

ბოლო ოთხი წლის ჯამი

	მ	ფ	ნ	ბ	ლ
ინგლისი	12	0	4	291:196	18-12
საფრანგეთი	9	0	7	323:231	37-14
შოტლანდია	8	1	7	235:237	15-18
ირლანდია	5	1	10	203:312	14-31
უელსი	5	0	11	217:293	17-26

ინგლისი

ბოლო ორი წლის ჩემპიონი. ერთობ ზორბა და მძლავრი, მაგრამ იმავდროულად უჯიგრო და უჭკუო გუნდი.

მწვრთნელად ჰყავს აყლაყუდა ჯექ რაუელი, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია საკლუბო დონეზე — ქალაქ ბასის გუნდში, მაგრამ ნაკრების მოთამაშეებს ორპირობის გამო სძულთ.

გუნდის კაპიტანია ბასელი შუამარბი ფილ დეგლენვილი, რომელიც XV-ეულში აქამდე ვერ ზვდებოდა. მის გამო შემადგენლობიდან უნდა ამოაგდონ ან ექსკაპიტანი ვილ ქარლინგი, ანაც მულატი ჯერი გასქოთი.

ხუთი ერის პირველობისათვის გუნდს დაბრუნებია ჩია, მაგრამ დაუდგარი ფლანკერი ნაილ ბექი, რომელიც მსაჯის ბიძგებისათვის ნახევარი წლით იყო დისკვალიფიცირებული. ამის გამო მესამე ხაზის შერჩევა დილემა გამხდარა.

ვერც დამრტმელად და ვერც ტაქტიკოსად უვარგია მაიქ ქეთს, 15 ნომრიდან 10-ად რომ გადაუყვანიათ.

და მაინც, ინგლისი ფავორიტია, რადგან საფრანგეთსა და შოტლანდიას შინ ეთამაშება.

უელსი

ნაღდი გამოცანაა. თუ 60- და 70-იან წლებში ბრიტანული რაგბის მებაირახტრე იყო, მერე დაკნინდა, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო უკეთეს მოთამაშეთა მეტი წილი პროფესიულ, 13-კაკი რაგბში (ე. წ. ლიგაში) გაექცა და დისკვალიფიცირებულ იქნა.

რაგბის გაპროფესიულება ძნელად რომ ვინმეს უელსზე მეტად მოუხდეს. უელსურმა რაგბმა ლიგიდან უკვე გამოისყიდა უკანახზელები: დიდი, ოღონდაც უკვე დაბერებული ჭონათან დევისი, სქოთ გიბსი, ალან ბეიმენი; ხვადაგი ბურჭი დევიდ ინგი და უმძლავრესი ნორჩი მესამეხაზელი სქოთ ქვინელი. მწვრთნელი კევინ ბაურინგი ფაქტობრივად ახალ ნაკრებსა ქმნის. უელსელთა მიზანთამიზანი ხომ 1999 წლის მსოფლიო თასია, რომლის ფინალსაც თავად უმასპინძლებენ კარდიფის „არმზ პარკზე“.

შარშანდლამდე უელსი პირველ ადგილზე იყო ხუთი ერის პირველობაში მოგროვილი ქულებითა და მოხვეჭილი ჩემპიონობის რიცხვით, მაგრამ ახლა ინგლისმა გაუსწრო. თუმცკი ამას სამდღეიდ დიდი ვერაფერი მნიშვნელობა აქვს.

საფრანგეთი

შარშანწინდელ მსოფლიო თასზე ყველა მოწიბლა და III ადგილიც დაიჭირა, მაგრამ ხუთ ერზე 1993 წლის მერე ველარ იმარჯვებს. ეკვატორს ზემოთ ყველაზე ეშხიანსა და აზარტულ რაგბსა თამაშობს.

მწვრთნელია ტომით პოლონელი ჟან-კლოდ სკრელა, კაპიტანი — მაროკოში დაბადებული, გაზრდილი და ნათამაშევი მამლუქი მორკინალი აბდელ ბენაზი. იგი ცვლის ცისფერთვალება გარემარბ ფილიპ სანტანდრეს, რომელიც ისეა დაშავებული, რომ მთელი სეზონი გაუცდება.

შემოდგომაზე ფრანგები ტრავმებმა გატანჯეს, მაგრამ ახლა დაშავებულთა მეტი ნილი მოკეთდა. 9 ნომრად დაბრუნეს ფაბიენ გალთიე, სკრელას დაჟინებით კი ამ ათი დღის წინ უკანა ხაზის დამოძღვრა დაევალა შერეკილ პიერ ვილპრეს, რომელსაც უდიდეს წარმატებას მიუღწევია ტულუზის კლუბში და ინგლისელთა კონსულტანტიც ყოფილა, მაგრამ შინ ნაკრებს ახლოს არ აკარებდნენ.

ფრანგები წელსაც ალბათ სხვებზე მეტ ლელოს გაიტანენ. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ! მარტს თვიქნემში სტუმრობაზე.

შოტლანდია

ძალზედ მოწესრიგებული გუნდია. მწვრთნელის დავალებას ზედმიწევნით ასრულებს ხოლმე, მაგრამ ზომა-წონა აშკარად აკლია.

გუნდი ერთობ ჭიგრიანია. კაპიტანად დაუბრუნდა მესამე ხაზის მორკინალი რობ ვიანრაითი, რომელიც დაშავებული იყო. ნახევარდაცვაში აღდგა ქრეგ ჩალმერს (10) — გერი არმსტრონგის (9) დუეტი, სქოთებს 1990 წელს დიდი სლემი რომ მოაგებინა.

ვიცე-კაპიტანი და 12 ნომერი გრეგორ თაუნზენდი სამართლიანად ითვლება მთელი ბრიტანეთის უძლიერეს უკანახზელად.

სქოთების მთავარი ნაკლი სრულფასოვანი რეზერვის უფოლობაა. შემოდგომაზე, ავსტრალიასთან წაგებამ მათი დერეფნის უსუსურობაც გამოავლინა. გეკინ ჰეისთინგსის წასვლის შემდეგ აღარც საიმედო დამრტყმელი ჰყავთ, თანაც პარიზსა და ლონდონში მოუწევთ გასვლა, რის გამოც ჩემპიონობას ალბათ ვერ შეწვდებიან.

ირლანდია

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ რომ ირლანდიაზეა ნათქვამი. „სამყურებმა“ ბოლო ტიტული 1985 წელს მოიხვეჭეს და მას აქეთ ერთხელაც ვერ გადაულახავთ ცხრილის ქულათა 50-პროცენტა ზღვარი.

მართალია, ირლანდიამ 1993-94 წლებში ზედიზედ ორჯერ დაამარცხა ინგლისი, მაგრამ სხვა საამაყო ვერაფერი აქვს. არათუ ძველებმა, მსოფლიო სარაგბო ოჯახის ახალბედებმაც (სამოამ, იტალიამ) შეაჩვიეს ხელი და მისსავე მოედანზევე ამარცხებენ.

გუნდს ჩემპიონობის იოტისოდენა შანსიც არა აქვს. „ფრანს-პრესი“ ინგლისის შანსებს 6:5 აფასებს, საფრანგეთისას 7:4, უელსისას 11:2, შოტლანდიისას 8:1, ხოლო ირლანდიისას 22:1.

ამგვარი განწირულობის გამო თუ იყო, რომ იტალიასთან წაგებისთანავე დაითხოვეს ზელანდიელი მწვრთნელი მარი ქიდი, მის მაგივრად კი სასწრაფოდ დანიშნეს ინგლისელი ბრაიან ეშთონი, რომელიც სამი დღით ადრე გადამდგარიყო „ბასიდან“. თანაშემწედ მის მიწვევას თურმე ინგლისის შეფი რაუელი აპირებდა.

გალოთებულა

ოქსანა გაიული ადრევე რომ დაობლდა, მწვრთნელმა გალინა ზმიევსკამ აღზარდა. უკრაინელმა ჭოგომ 1994 წლის თებერვალში, ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადაზე ... ფიგურისტთა შეჯიბრი, ამაღლებულად მოიგო და აბირდა.

მას აქეთ ოქსანა გაპროფესიონალდა და ამერიკაში გადასახლდა, სადაც იქვე გადაზვეწილ ექს-საბჭოელებთან მეგობრობს.

შაბათ საღამოს ჰართფორდში (კონექტიკუტის შტატი) ოქსანა დასწრებია ყინულის ბალეტის სპექტაკლს, მერე კი კულისებშიც შესულა და ძველი დოსტები მოუკითხავს. გამთენიისას ქალი მიჯდომია თავისი მწვანე „მერსედესის“ საჭეს, ექს-უკრაინელი ძმობილი, 30 წლის არარატ ზაქარიანი ჩაუსვამს და გაუწევია გარეუბან სიმბსრისკენ, სადაც 9-ოთახიან სახლში ცხოვრობს.

19 წლის ოქსანამ შინ ვერ მიაღწია. მანქანა მოცურდა, გზიდან გადაუხვია და დაიმტვრა. ბედად, მავანმა გამვლელმა პოლიციას უხმო. ჭოდა, ქალ-ვაჟი სასწრაფოთი საავადმყოფოში მიიყვანეს.

ქალს თავზე 12 ნაკერი დაადეს. მას ტვინის შერყევაც აღმოაჩნდა, რის გამოც ექიმებმა ერთი დღის მერეღა დართეს შინ წასლის ნება. ზაქარიანს ოდენ ხელის თითი მოტყდა.

საავადმყოფოში მოყვანისთანავე ქალს სიმთვრალის ტესტი ჩაუბარებინეს. სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 0,168 პროცენტი აღმოაჩნდა, შტატის კანონმდებლობით კი სიფხიზლის ზღვრად 0,1 პროცენტია მიჩნეული. მეტიც, ახალი, გამკაცრებული კოდექსით, თუ მძღოლს ეს მაჩვენებელი 0,02-ზე მეტი გამოუვა, მართვის უფლებას ულაპარაკოდ ჩამოართმევენ.

პოლიციამ არ იჩქარა ქალის დაპატიმრება. ოქსანა სამშაბათს თავად გამოცხადდა უბანში, საიდანაც უთავდებოდ გაათავისუფლეს. სასამართლოში 27 იანვარს უნდა გამოცხადდეს. ალბათ ჯარიმას აკმარებენ. ბაიულის დანაშაული ისიც ყოფილა, რომ რაკი 21 წელი ჯერაც არ შესრულებია, დალევის უფლება არა აქვს!

მენეჯერმა ბობ იანგმა დაიცვა შეგირდი: ცხოვრებაში მსგავსი აქამდე არაფერი შემთხვევია და შეცდომასაც ერთობ ნანობსო. მეზობლებსაც ძლიერ შეცოდებიათ ბეჩავი გოგო — მშობლების სითბო რომ აკლია, მაგად გალოთდაო!

შეჯიბრი გახურდა

აფრიკული რალი ხვალ სენეგალის დედაქალაქ დაკარში დასრულდება. ფინიშის მოახლოებასთან ერთად ავტოთა შეჯიბრში ვითარება უკიდურესად დაიძაბა, მოტოციკლთა კლასში კი ფაქტობრივად ყველაფერი გაირკვა.

ოთხშაბათის XI ეტაპი (კიდალი — ტიმბუქტუ, მალი; 577 კმ) მოიგო ფრანგი ჟან-პიერ სტრიუგოს „მიცუბიშმა“, რომელმაც 3.18-ით აჯობა თანაგუნდელ თაილანდელებს. მესამე ადგილზე ასევე „მიცუბიშით“ მოასპარეზე იაპონელი კენძირო შინოზუკა გავიდა. ამის შედეგად იაპონელი ისევ ჯამური ლიდერი შეიქნა — 45 წამით გაუსწრო მანამდელ ლიდერს, ფრანგ ჟან-პიერ ფონტანეის (ესეც „მიცუბიში“).

მოტოციკლისტთაგან საუკეთესო იყო ამერიკელი ჯიმი ლუისი (ᲙᲢᲛ), 11 ეტაპის ჯამში კი ფრანგი სტეფან პეტრანსელი (იამაჰა) საათსა და 29 წუთს უგებდა ესპანელ ხორდი არკარონს (ᲙᲢᲛ).

ხუთშაბათის XII ეტაპის (ტიმბუქტუ — ნემა, მავრიტანია; 585 კმ) დასაწყისშივე არკარონმა ძალი გაიტანა, თავადაც დაეცა და სამი წუთით გონი დაკარგა. ხორდის მოტოციკლზე ხელახლა შეჯდომა სურდა, მაგრამ ექიმებმა არ დაანებეს. ამის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ პეტრანსელი მეხუთედ მოიგებს დაკარის რალს, რაკი ამ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ უახლოეს მდევარს — ესპანელ ოსკარ გაიარდოს (კაჯივა) ორ-საათ-ნახევარზე მეტით უსწრებს.

„მიცუბიშებმა“ კვლავ იძალეს. ფონტანეიმ მეოთხედაც მოიგო ეტაპი და გუშინდელის დაწყებამდე შინოზუკასთან მხოლოდ 23 წამს აგებდა.

მიხო ნინუა

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

AUSTRALIAN OPEN

თითქმის არაფერი მომხდარა

მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეტისმეტად რომ ცხელა და მონწილენიც პანტა-პუნტით შავდებიან, ამაზე საყურადღებო სხვა თითქმის არაფერი ხდება. ვაუთა გერმანელი ჩემპიონის — ბორის ბეკერის გავარდნის მერე მორიგ დიდ სენსაციად ძნელად რომ რამემ ივარგოს.

წინა „სარბიელში“ ვწერდით, რომ შტეფი გრაფს (გერმანია, 1) პასუხისგებაში მიცემული მამის გამო დარდმა ჩოგბურთი ლამის დაავიწა, მაგრამ მაინც ძლია მეტოქე, მესამე წრეში გავიდა და პირობაც დადო, ტურნირის ბოლომდე დავრჩებიო.

იმავე დღეს მშობელმა აურია გეგმები გრაფის თანამემამულე ანკე ჰუბერსაც (5): დედამისი გერდა 22 წლის ქალს ტურნირებზე იშვიათად დაყვება, მელბურნში კი რესტორანში გონი დაკარგა და ჰოსპიტალში წაიყვანეს. ამის გამო ჰუბერი ერთი დღით გვიან ეთამაშა იტალიელ ფრანჩესკა ლუბიანის და 4:6, 6:2, 6:0 მოუგო.

და მაინც, ოთხშაბათის მთავარი ამბავი დღის მეორე ნახევარში მოხდა, როცა ექს-გრანდმა ანდრეი მედვედევმა (უკრაინა) ხუთ ხელში — 4:6, 6:1, 6:2, 4:6, 9:7 დამარცხა მიხაელ შტიხი (გერმანია, 15). გარდა ამისა, ჯაე წყვილთა შეჯიბრის პირველი წრის მატჩში გადამწყვეტმა ხელმა 56 გეიმს გასტანა, რაც ავსტრალიის ახალი რეკორდია, თუმცკი მსოფლიომდე ბევრი უელია: 1973 წელს, დევისის თასზე, აშშ — ჩილეს მატჩში ჯაე წყვილთა თამაშში მეორე ხელი 76 გეიმი გაგრძელებულა.

ვაუთა ზოგი სხვა შედეგიც: თომას ენკისტი (შვედეთი, 7) — რიჩარდ ფრომმბერგი (ავსტრალია) 6:4, 6:4, 7:5; ფელიქს მანტეა (ესპანეთი, 14) — ფერნანდუ მელიჟენი (ბრაზილია) 6:2, 6:4, 6:1; კარლოს მოია (ესპანეთი, ბეკერის მძლეველი) — პატ მაკნროუ (აშშ) 3:6, 6:0, 6:3, 6:1; სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 4:6, 6:3, 6:4, 7:6 (7-0)

ბელგიელმა დევილმაც კოჭი იღრძო და მეტოქის საშველი შეიქნა

როიტერი მელბურნიდან

ქალებმა ერთი განთესილიც მოისაკლისეს: რიკა ჰირაკი (იაპონია) — ბრენდა შულც-მაკგაფი (ჰოლანდია, 10) 0:6, 6:1, 6:4. სხვებმა მოიგეს: კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — ადრიანა ჭერზი (იტალია) 6:2, 7:6; ამანდა კეტცერი (სამხ. აფრიკა, 12) — იანა კანდარი (გერმანია) 6:2, 7:6 (7-4).

მᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ ხუთშაბათს დასრულდა. განთესილთაგან აღარავინ გავარდნილა.

ვაუები: პიტ სამპრასი (აშშ, 1) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 3:6, 6:2, 6:3, 6:2; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 3) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:4, 6:2, 6:2; თომას მუსტერი (ავსტრია, 5) — გრანტ სტაფორდი (სამხ. აფრიკა) 6:3, 6:2, 6:2; ვეინ ფერერა (სამხ. აფრიკა) — ხავიერ ფრანა (არგენტინა) 6:3, 3:6, 6:2, 6:1; ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 10) — იან კროზლაკი (სლოვაკეთი) 6:1, 7:6 (7-2), 7:6 (7-0); ჯიმ კურიე (აშშ, 11) — სლავა დოშედელი (ჩეხეთი) 4:6, 6:2, 3:6, 6:4, 6:4

სამპრასმა ზედიზედ მეორე რუმინელი დაამარცხა, ამჯერად — ოპერის დიდი ტრფიალი. პიტს მზეს შეეწუხებია და თავიდან ცოტა გაუჭირდა. ღღეს, მესამე წრეში უნდა შეეგებოს ცაცია ავსტრალიელ მარკ ვუდფორდს, წყვილთა თამაშის დიდ-ოსტატი რომაა.

ბებერმა კურიემ ისევ სამსაათნახევარი მოანდომა ხუთხელიან თამაშს. ამით უკვე 100 გეიმი დაუგროვდა, რაც პირადი რეკორდი ყოფილა.

ქალები: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 4) — ლიზა რეიმანდი (აშშ) 6:4, 6:2; ირინა სპირლეა (რუმინეთი, 8) — ჯოანეტ კრუგერი (სამხ. აფრიკა) 6:1, 6:1; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი, 9) — ნიკოლ ბრადტკე (ავსტრალია) 6:3, 6:3; მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 14) — იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) 7:5, 6:4; ჩანდა რუბინი (აშშ, 15) — სანდრინ ტესტუ (საფრანგეთი) 6:2, 6:1

16 წლის ჰინგისი იოლად გაუსწორდა 23 წლის რეიმანდს. მოხდა ბუნების მცირე სასწაულიც: ხალხს მარტინა რომ წარუდგინეს, მგოსანმა ჩიტებმა მორთეს ჟღურტული, ლიზას გამოცხადებას კი თურმე ყვავების ყრანტალი ხლებია თან.

მონწყლების დობაში გრაფს არ ჩამორჩა არანჩა სანჩეს-ვიკარიოც (ესპანეთი, 2), ვის ბელგიელ ქეტოქე სტეფანი დევილსაც მე-6 ქულის გათამაშებისას კოჭი ეღრძო და დანებდა. არანჩამ ყინული

-ადო უნეირო კოლეგას და რაკი ოდენ 3 წუთი (!) ეთამაშა, სავარჯიშოდ გაუტია.

გუშინ მესამე წრეც — მეთექვსმეტედფინალი გაჩაღდა. საღამომდე განთესილთაგან კვლავ არავინ დამარცხებულა.

ვაუები: მოია — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 6:2, 6:2, 6:2; მარსელო რიოსი (ჩილე, 9) — გილბერტ შალერი (ავსტრია) 4:6, 7:6 (7-2), 6:1, 6:1; მალ ვოშინგთონი (აშშ) — თოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 4:6, 6:2, 6:3, 6:1; მანტია (14) — არნო ბეჩი (საფრანგეთი) 6:3, 1:6, 7:6 (7-4), 6:4; მედვედევი — დენის ფასხუბანეგენი (ჰოლანდია) 6:1, 6:1, 6:1. ქალები: გრაფი (1) — ინეს გოროჩატეგი (არგენტინა) 7:5, 6:3, ჰუბერი (5) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 7:5, 6:0; ლინდზი დავენპორტი (აშშ, 7) — ტამარინ ტანასუგარნი (თაილანდი) 6:1, 6:0; კეტცერი (12) — მარია-ლუიზა სერნა (ესპანეთი) 6:3, 6:2; ჟიმბერლი პო (აშშ) — ჰირაკი 6:2, 6:2; მარი პირსი (საფრანგეთი, 1995 წლის ჩემპიონი) — მარკეტა კოხტა (გერმანია) 6:0, 6:2

ოლიმპიური ჩემპიონი დავენპორტი 45 წუთში გაუსწორდა თავის კბილს, რომელიც მის დარად ლოს-ანჯელესის შემოგარენში დაბადებულა. გრაფს ისევ ეამოტკივდა ზურგი და პირველ ხელში ერთი პირობა 2:5 აგებდა. შტეფის შემდეგი მეტოქე კეტცერი იქნება, ჰუბერისა — პირსი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲥᲕᲔᲚᲘᲐ

რედაქტორი
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲑᲠᲘᲐᲣᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია:
ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ᲖᲐᲐᲚ ᲒᲘᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ

გამომცემელი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲝᲪᲮᲘᲕᲔᲠᲘᲐ

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29